



საქართველო, სამეცნიერო და სალიბერატურო ნახაბიანი გაზეთი გამოდის ყოველ კვირა დღეს  
№ 44 ო კ თ ო მ ბ ე რ ი 25 1898 წ. № 44

შინაარსი: არჩევნები ბათომში. — უორდან ასი. — სხვა-და-სხვა ამბავი. — ჟევალისა კორესპონდენციები. — საზღვარ-გარეთი. — პოეტური ლექსი კ. გოგოლაძისა. — ქეთისის მებარეუქეთა ამხანაგობის საყურადღებოთ ამხანაგობის ერთი წვერთაგანისა. — ახალი ტიპი ჩვენ ცხოვრებაში, კრიტიკული განხილვა ალ. წულუკიძისა. — ბაქო არძისა. — წერილები რედაქციის მიხარტ

რედაქციის ადრესი: არტილერიის ქუჩა № 5, იმის პირდაპირ, სადაც აქამდის რედაქცია იმყოფებოდა.

### არჩევნები

#### ბათომში.

დასულ კვირას ბათომში მოხდა საარჩევნო ბრძოლა. ქალაქის ამომრჩევლები, დას-დასებათ დაწყობილნი, ბრძოლის ველზე გამოვიდნ და მთელი თავისი ძლიერებით ერთმანეთს შეეტაკენ. შეტაკება იყო მედგარი, ომი უმოწყალო, ჩენა-კეთა უღმობელი. აღარაფერ ვინმეს ინდობდა, აღარაფერ ვინმეს განიკითხავდა. საღამოს ქამს ბრძოლა შეწყდა, რაზმები დაათვალიერეს და შეიქმნა ზოგან მოთქმა-გოდება, ზოგან კი სიცოცხლისხარისი. ზოგი თავის მკედარს ტირის, ზოგი თავისი ცოცხალით მხიარულობს, ზოგი გამარჯვებას ილოცავს, ზოგი დამარცხებას ისამძიმრებს. გამარჯვებულს უკვირს თავისი გამარჯვება, დამარცხებულს თავისი დამარცხება. თვითოეული მხარე შეუდგა თავისი მდგომარეობის აწონ-დაწონვას, თავისი ძალ-ღონის აზომ-დაზომვას. რატომ ჩვენ წაგავეთ? — კითხულობს ერთი; რატომ ჩვენ მოვიგეთ? — კითხულობს მეორე. დასე დღეს ყველა ამის კვლევა-ძიებაშია. ჩვენც აღარ გინდა ამათ უკან ჩამოვრჩეთ და ვფიქრობთ ამ საერთო ძიებაში ჩარევას. ჩვენც

გესურს ბათომლებთან ერთათ ამ საქმის განხილვა და გაგება. ამისათვის პირველ ყოვლისა საქაროა ვუცოდეთ: ვინ გამოვიდა ომის ასპარეზზე? ვინ რით იყო შეიარაღებული? როგორი სიმადრე ექირა თვითოეულ რაზმს და როგორ სტრატეგიურ მოსაზრებას ემორჩილებოდა? აქედან ბოლოს თავის თავათ ნათელი იქნება, თუ რატომ ამ ბრძოლას ასეთი შედეგი უნდა მოჰყოლოდა და არა ისეთი.

ბათომი, მოგვხსენებთ, ალებ მიცემობის ქალაქია, მისი ცხოვრება ერთიანათ ვაჭრობაზე არის დამყარებული. მაშასადამე ბათომის ინტერესი ვაჭრობაში და ალებ მიცემობაში უნდა მდგომარეობდეს. ბათომის მეთაურნი ვაჭრები და მწარმოებელნი უნდა იყვნენ. ვინ უნდა აყვენ ესენი? ვის ხელში უნდა იყოს ეს სანატრელი ვაჭრობა? ვინ უნდა ბატონობდეს ბათომში? და აი, აქ ერთმანეთს დაეჯახნ სხვა-და-სხვა ერის ბურჟუაზია: სომეხი, ქართველი, ბერძენი, რუსი — ყველა ცდილ აბს თვითონ გაძლიერდეს და მეორე ჩაყლაპოს. მარა უმთავრესი და უღონიერესი მებრძოლნი ამათში სომეხობა და ქართველობაა. ამ რვა წლის წინეთ პირველი ჭარბობდა მეორეს, როგორც შეძლებით ისე სიმრავლით. ამ ოთხი წლის

ს. შარვაშიძის სარ. ს. გ. სსრ

წინეთ ისე გაძლიერდა და გამრავლდა მეორე, რომ ერთნაირი coup d'etat მოახდინა: საბჭოდან გამოყარა სომხები და მათი ალაგი თვითონ დაიჭირა. თვითმართველობა გადავიდა ქართველობის ხელში და შეიქმნა მისი განვითარების იარაღი. (35 ხმოსანში 21 ქართველი იყო). ამ ნაირათ ბრძოლა ამტყუარო ეკონომიურ ნიადაგზე გადატანილ იქმნა სამოქალაქო სფერაშ აც და გამოიწვია შესაფერი ლტოლვილება. ახლა ქართველი მართო შეძლების შეძენას კი არ ცდილობს, ის ეტანება აგრეთვე უფლების მოპოებასაც. და ეს არ არის მართო ბათომის კუთვნილება. საქართველოს კიდის-კიდემდე დღეს ერთი დიდი ჭაპანწყვეტა წარმოებს ახალი კლასის ასაღორძინებლათ. ქართველი ბურჟუა ებრძვის ყველას, უცხადებს ყველა თავის მეტოქეს ჯვაროსანთა ომს და აფრიალებს ნაციონალურ დროშას. ბათომი ამ მიმდინარეობის ტიპური გამომხატველია. უკანასკნელ ოთხი წლის განმავლობაში აქ ქართველი წერილ ფენა ეაჭრები წამოჯობინდენ, ყვებზე წამოადგენ და საზოგადო აღებმიცემობაში საპატიო ალაგი დაიჭირეს. ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს მათ მოწინააღმდეგეთა განადგურებას. მართალია ისინი დაეპატრონენ საბჭოს, მარა ვერ დაეპატრონენ ბათომს. აქ ჯერ კიდევ ბატონობენ სომხები. მრეწველობა — ეს ძარღვი აღებ-მიცემობის, კრედიტი — ეს ქონი აღებ-მიცემობის სომხების ხელშია. ბათომის ეაჭრებს ბათომის მრეწველობასთან ცოტა კავშირი აქვთ, დამუშავებული საქონელი უმთავრესათ უცხოეთში გადის. სამაგიეროთ ისინი ერთ დღესაც ვერ გაძლებენ უკრედიტოთ. მოწესპეტ მათ სესხი და ხვალეე გაკოტრდებიან. და ასე, ერთი მხრით ქართველობა გაიხლართა ბანკების ქსელში, რომლის ყველა ძაფები სომხების ხელშია, მეორე მხრით სომხობა გავბა საბჭოს ბადეში, რომლის მქსოველები ქართველებია. და აი, ორივე შეუდგა მეცადინეობას რომ თავისი ბორკილი დაამტკრიოს და ორსავე ასპარეზზე თავისუფლათ ინავარდოს. ქართველობას უნდა დაეწყო ბრძოლა კრედიტისათვის, სომხობას საბჭოსათვის. ბრძოლა ხდებდა, საზოგადოთ, ორნაირათ: ან მებრძოლნი ერთდებიან და საერთო ძალიდონით იერიშით მიდიან მოპირდაპირეებზე ან და თვითოეული მებრძოლი ცალცალკე ცდილობს მოპირდაპირეს ფეხ-ქვეშ გაეგოს და მისი ყურადღება დაიმასხუროს. ბათომის ქართველობა უკვე პირველ გზაზე შედგა და მოინდომა საკუთარი კრედიტის გაჩენა. ამისთვის მან დაიარსა საურთიერთო ბანკი. მარა ეს, როგორც ახალ დაარსებული და ცოტა თანხიანი, „ვერ“ აკმაყოფილებს დიდ მოთხოვნილებას და ვერ უწევს საჭირო კონკურენციას სხვა ბანკებს. ამიტომ ის, ერთიანათ სახელმწიფო

და საკომერციო ბანკებისაგან შეიქმნა დამოკიდებული, ხოლო აქ სომხები უფროსობენ. აი, ამ გარემოებამ ქართველობის ერთი ნაწილი შეაყენა მეორე გზაზე: ჩვენ ჩვენი ქართველობით ვერას გაეაწყობთ, ეს პურს არ გვაჭმევს, ჩვენთვის კარგია ყველა ის პირი, ვინც კი ხელს გავციწყობს გაჭირებ-ს დროს, ქართველია ის თუ სომეხი სულ ერთიაო. ასეთ აზრს დაადგა ქართველობის მომხმეილო ბურჟუაზია, რომელიც არც ისე მსხვილია, რომ საკუთარი თანხით საქმე აწარმოვოს და არც ისე წერილი, რომ დიდ კრედიტში არ საჭიროებდეს. ის ამბობს: სომხებს რომ გადაუუდგეთ კრედიტს დაგვიხურავენ და გაგვანადგურებენო. ამას ეწინააღმდეგება ქართველობის უმრავლესობა, რომელიც შედგება წერილი ბურჟუაზიის და ინტელიგენციისაგან. მაშინ როდესაც პირველი თავის კერძო ინტერესების ნიადაგზე დგანან, მეორენი საერთო, საზოგადო, დროშას აფრიალებენ და ქართველობას საერთო ბრძოლისაკენ იწვევენ. და რადგანაც მოწინავე კლასის განვითარება არის იმავე დროს ნაციონალური განვითარებაც, ამიტომ ესენი ნაციონალურ პარტიათ ჩაითვლება. ასე თუ ისე, ქართველობა გაიყო ორათ: უმცირესობა ინდივიდუალურ ეგოისტურ გზას დაადგა, უმრავლესობა კი ნაციონალურ-ეგოისტურს. იქ იძახიან მხოლოთ „მეო“. აქ კი მხოლოთ „ჩვენ ქართველებიო“. ამ ორი მიმდინარეობის მეთაურათ და მებაირალტრეთ გამოვიდა ორი ექიმი: პირველის ბ. ელიაეა, მეორის ბ. ეოლსკი. ეოლსკის საარჩევნო პროგრამმა ყველასათვის ნათელი და აშკარაა, ელიაეასი კი ყველასათვის საიდუმლო და დაფარულია. პირველი ამბობს: საბჭოში შევიდეთ ჩვენ, ქართველები, უმრავლესობა და შევიყვანათ ყველა ერის წარმომადგენელი გარდა სომხებისა. ელიაეა ამის შესახებ საჯაროთ, გულ-ახდილათ ვერას ამბობს. სომხობის საბჭოსაგან გამოარცხევა იმდენათ მიღებული და თავისთავათ საკულისხმა ბათომის ქართველობაში, რომ ამის წინააღმდეგ თვით მოწინავე პირიც ვერას გეტყვისთ. ეოლსკი ნაციონალისტია, ელიაეა კი არც ნაციონალისტია და არც არა-ნაციონალისტი, ის მხოლოთ ელიაეა და მეტი არაფერი. პირველს სახეში აქვს ქართველი მოწინავე კლასის საერთო ინტერესი, მეორესკი ამა თუ იმ პირს კერძო ინტერესი, ამიტომ ეს არც კი შეიძლება პარტიის სახელით მოენათლოთ. ეს არის მხოლოთ გროვა უდგო და უპრინციპო ხალხის, რომელიც დღეს არას და ხვალ შეიძლება დაიშალოს. ამას ზედ ერთვის ელიაეას და ეოლსკის პირადი უკმაყოფილებაც.

ასეთი განწყობილებაა ქართველთა ბანაკში. ასულ სხვა სომხობაში. სომხ-ს ბურჟუაზია

სრულებით არ საჭიროებს სხვა რომელიმე ერის ნივთიერ დახმარებას. მას აქვს საკუთარი კრედიტი, საკუთარი ვაჭრობა და წარმოება. ამიტომ აქედან თავის თავათ გამოირიცხულია ელიაფას მზგავის პარტიობა. აქ ყველა ერთათ დგას, ერთი მიზანისაკენ მიიმართება. ამათი მეთაურია საკომერციო ბანკის გამგე ბ. ხუდადოვი. ხუდადოვი იგივეა სომხებისთვის, რაც ეოლსკია ქართველებისათვის. ხუდადოვი სომხების ეოლსკია და ეოლსკი ქართველების ხუდადოვი 1), მარა მათ სუსტ მხარეს შეადგენს ის, რომ რიცხვით ქართველებზე ნაკლები არიან. არჩენის დროს კენჭს ითელიან და არა მეკენჭეს შეძლებას ქართველი ამომრჩეველი 152, სომხებისა კი 128. მასასადამე საჭიროა დანარჩენი ხმების სხვა წყაროებიდან შეძენა. და რადგანაც ამასვე ცდილობს ქართველობაც— შეიქმნა აქედან და იქიდან ერთი პარტიობა რუსების, ბერძნების და მაჰმადიანების. აქ იწყება ამ წერილი ჯგუფების დანაწილება. რუსი და ქართველი მაჰმადიანი მრეწველობას და ვაჭრობას არ მისდევენ. პირველი უფრო ჩინოვნიკობაა, მეორე კი მემამულენი. ცხადია, ამათ სომხებთან საქმე არ აქვთ და ამათგან არც დამოკიდებულა. ამიტომ არჩენებში ესენი იმ მხარეს მიემხრობიან საიდნაც მეტს გამოვლიან ე. ი. რომელი მხარეც მათ მეტ კანდიდატს გაათეთრებს. ამით ჩინებულათ ისარგებლეს რუსებმა, ამათ სომხებსაც პირობა მისცეს და ქართველებსაც და მათი კანდიდატი ორივემ გაათეთრა. ქართველი მაჰმადიანები უფრო ქართველებს ემხრობიან. რაც შეეხება ბერძნებს, ესენი, როგორც ვაჭარი ხალხი, სომხების უსასტიკესი მეტოქეა მთელ აღმოსავლეთში. ამისათვის მოსალოდნელი იყო არც ერთი ამათგანი სომხებს არ მიემხრობოდენ. ამნაირათ, ბერძნები, მაჰმადიანები და ნახევარი რუსობა ქართველებისაკენ—ეს ერთობ დიდი ჯარია და მას ევლარაფერი დაუდგება წინ. მარა აი, ამ ბუნებრივ განწყობილებაში ერევა ბ. ელიაფა და მას ერთიანათ ცვლის. მისი 40—50 ქართველი ბურჟუა ეოლსკის პარტიას ას ქართველზე აყენებს. მეორე მხრით ის ორათ ჰყოფს ბერძნებს, ცნობილი ვაჭრის სიმონოვის (ბერძენია) 2) შემწეობით, თავისკენ გადაჰყავს რუსობის ის ნაწილი, რომლის აწრით ბათომში ქართვე-

ლობის შესუსტება საჭიროა და ასე შეიარაღებულნი სომხებს უცხადებს: ჩვენ გაათეთრებთ თქვენ 4 ბანკირს, სამაგიეროთ თქვენ გაათეთრეთ ჩვენი 4 თქვენი ბანკის მუშტარი ამ გვართ, ელიაფამ ყველა პარტიას გამოგლიჯა რამდენიმე კაცი, შეაყენა ბაზიზუტუკური ჯგუფი და ხელში ერთათ ერთი დროშა მისცა ზედწარწერით: გააშვეთ ეოლსკი და მისი პარტიაო!

აი, პარტიათა ასეთ დამოკიდებულებაში გათენდა 18 ოქტომბერი. კენჭის ყრას დაესწრო 304 ამომრჩეველი, რომელნიც 332 ხმას წარმოადგენდენ. ამათში ქართველისა არის 123 ხმა, სომხების 92, რუსების 40, დანარჩენი ბერძნების და მაჰმადიანების. მარა ქართველების ხმა გაყოფილია ორათ: 40-ოდე კაცი ელიფას ემხრობა, დანარჩენი 83 ეოლსკის. მასასადამე ხუდადოვის ჯარი ჭარბობს ეოლსკის ჯარს. დანარჩენი პარტიებიც გაყოფილია, ზოგი აქეთ არის ზოგი იქით, ასე რომ საერთო ძალა თითქმის თანასწორათ ნაწილდება და მით ელიაფას ეძლევა ბედნიერი შემთხვევა არჩენების გადამწყვეტი შეიქნას. და კიდევაც ასე მოხდა. გათეთრდა სომხების ოთხივე ბელადი, გაშვედა ქართველების ყველა ბელადი, გარდა ნ. ლუმბაძისა, რომელიც, მიუხედავათ მისი სახელისა, ძლიეს გავიდა; გავიდა რვა რუსი პალმის და ბაგოსლოესკის მეთაურობით, შეიდი ბერძენი სიმონოვი-თურთ და ორი ქართველი მაჰმადიანი. ელიაფამ დაამარცხა ეოლსკის პარტია და დამარცხდა თვითონაც. არც ერთი მისი კანდიდატი არ გათეთრებულა, გათეთრდა მხოლოთ თვითონ. ამ საზოგადო არე-დარევაში ერთათ ერთი შეერთება მოხდა: ეოლსკი და ელიაფა შეერთდენ ბ. პალმის გასათეთრებლათ. ამ პირის შესახებ ქართველობაში პარტიობა არ ყოფილა, პალმი უნდა გეყავდეს საბჭოშიო და კიდევაც ჰყავთ.

ამ ნაირათ, 18 ოქტომბრის ბათომის არჩევანმა გამარჯვება მიანიჭა ბ. ხუდადოვის კრედიტს, ბ. პალმის პოლიტიკას და ბ. ელიაფას მორალს. ბათომმა თავისი სახე ამ სამ პირში აღბეჭდა, თავისი ვინაობა ამ სამი პირით გვამცნო. ეკონომია სომხების, აზროვნება რუსების, ზნეობა ქართველების—აი, რა წაეწერა გასულ კვირას ბათომის საბჭოს...

ნ. კოტლანია.




სხვა-და-სხვა ამბავი.

მთავარმართებელმა 16 ამ თვეს გადაწყვიტა დაიწყონ რევიზია ქალაქის თვითმართველობისა. უეჭველია ეს რევიზია ბევრ მიმაღულ-მომაღულ და მი-

1) უნდა შეენიშნათ რომ ამ რჩე მონაწილეობითა შორის საუკეთესო მეგობრული განწყობილებაა, რაც ჩვენში ძრვიელ იშვიათია.

2) ეს ის სიმონოვი, რომელსაც ფეჭილის სიყვარულმა დაარსდა, მისი ტომარები სანატარულ ქეიშმა მსიქემ დაიკავა, ხოლო ელიაფამ (ქალაქის ქეიშმა) ბეჭედი ახსნა. ეს საქმე საბჭო სასამართლოში აწარმოვა.



ფუჩეჩებულ ცოდვებს აღმოაჩენს თვითმართველობის საქმეებში, სადაც ასე ნაყარობდნენ ამდენ ხანს „ქალაქის მამები“.

200,000 მან., რომლის სესხათ აღება თფილისის ქალაქის მმართველობას უნდოდა კონკის გამოსაყიდათ, მთავარმართველმა არ დაამტკიცა. ამბობენ ასეთ სესხს ახლა კერძო პირები აწვდიან ქალაქის მმართველობას, ოღონდ კონკა მათ ჩაუვარდეს ხელში, მარა ბ. რობი მაგრათ ჩაკიდებია თავის კონკას და არაფის ანებებს. ამას გამო საბჭომ გაატქმა წინანდელი თავისი გადაწყვეტილება და დაადგინა ხელახლა გამართოს მოლაპარაკება ბ. რობისთან.

სოფ. ქვემო-მანხანაში უკვე დაუშთაერებიათ სახალხო სახლის შენება. ადგილობრივი ინტელიგენტები აქ აპირებენ ლექციების კითხვას და სპექტაკლებს გამართვას კვირა უქმე დღეებში.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მოუწონებია კავკასიის უმაღლესი მთავრობის განკარგულება მეტივეების გარდასახადის მოსაზრების შესახებ, რომელსაც დღემდე ქალაქის მმართველობა უკანონოთ იღებდა („კავკ.“).

მროზინსკის სავაჭრო სახლი თხოვს კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას აცნობოს ადრესები იმ მემამულეების, რომელთაც შეიძლებოდა გამოუგზავნოს საცდელათ თესლი შაქრის ჭარხლისა. ამ ცდას, როგორც ამბობს კავკასიის „სამეურნეო გაზეთი“, მოჰყვება აქ შაქრის ზეოდის გახსნა და ამიტომ ურჩევს ჩვენ მემამულეებს თითონ შეატყობინონ ვინციაში (პოდოლის გუბერნია) მორზინსკის თავიანთი ადრესი.

იმევე გაზეთის სიტყვით სოხუმის მახლობლათ შეეცდის ერთი სამრეელო ფირმა აპირებს პროპკის ხის პლანტაციების გაშენებას, რასაც ზეოდის გახსნაც მოჰყვება.

აბაზაძეს, რომელიც თ. კ. მუხრანბატონს უჩივოდა 17133 მ. 20 კ. საოლქო სასამართლომ მიუსაჯა ეს ფული 10 პროცენტით საერთო შემოსავლიდან იმ დღემდე, სანამ იგი მის მოურავათ იყო.

პეტერბურგიდან დეპეშით იუწყებინან, რომ ფინანსთა სამინისტროს უკვე საბოლოოთ გადაუწყვეტია დაარსდეს თფილისში საგლეხო სახელმწიფო ბანკის განყოფილება. განყოფილებას ნება ექნება შეიძინოს სპარსეთის და ოსმალეთის მოსაზღვრე ადგილები.

სამეურნეო საზოგადოებას თფილისში მიუღია ჩინური ჭინჭრის (რამის) თოკები სანიმუშოთ ქუთ. გუბერნიის გლეხების გაკეთებულნი. ეს მცენარე სხვა ქსოვილებისთვისაც კარგია, მაგ. აქედან საუკეთესო ჩესუნჩას აკეთებენ, მარა ჩვენში ჯერ მისი ხმარება არ არის შემოღებული და, როგორც განაცხადა მებაღეთა ახლანდელ კრებაზე ბ. ქუთათელაძემ, გუბერნიის და ხონში არ იციან იგი სად გასალონ და როგორ მოხმარონ. ამიტომ საჭიროა სამ. საზოგადოება შეკრებდეს ცნობებს და ბაზარს მოუპოვებდეს ამ ახალშოდის მცენარეს.

კავკასიის ნავთის მწარმოებელთა შორის დაბადებულა აზრი დაარსონ კავკასიაში ბიურო, რომლის მოვალეობა იქნება ადგილობრივი ნავთის წარმოებას თვალყური ადევნოს და მართოს მისი საქმეები, რასაც შეადგენენ: 1) კავკასიის ნავთის წარმოება, მისი დღევანდელი მდგომარეობა და ზომები მის გასაუმჯობესებლათ, 2) მოძებნა და გამოკვლევა ნავთის ახალი მიწებისა; 3) სამეურნეო და ეკონომიური მხარე ნავთის წარმოების საქმისა, 4) უკანასკნელი გაუმჯობესებულნი საშუალებანი ამ საქმისა და 5) მომხადება საჭირო მოსამსახურე პირთა და მუშებისა. ამ ბიუროს შეინახავენ ამ საქმით დაინტერესებული პირნი (გაზ. „კაზბეკი“).

შინაგან საქმეთა სამინისტროს განუზრახავს დაარსოს კავკასიაში საბეითალო მმართველობა, რისთვისაც აქ გამოუგზავნია საბეითალო კომიტეტის თავმჯდომარე, ხოლო მთავარმართველის რჩევამ პროექტი ამ მომავალი დაწესებულებისა 400,000 მან. ხარჯთ აღრიცხვით, უკვე დაამტკიცა 17 ამა თვეს.

„სავაჭრო და სამრეწ. გაზ.“ სიტყვით ზოგიერთი ქალაქები უკვე განუთავისუფლებიათ პოლიციის შენახვისაგან. ახლა კი შინაგან საქმეთა სამინისტრო ბევრ სხვა ქალაქებისათვისაც თხოულობს სახელმწიფო რჩევაში ასეთ შეღავათს. ქუთაისს კი, სადაც პოლიციაზე ყველა ხარჯებზე მომეტებული ფული იხარჯება, ყველაზე ადრე უნდა აღეძრა ამაზე შუამდგომლობა. იმედია, ახლა მაინც არ ჩამორჩება თავის ძმებს...

ჩვენ გვატყობინებენ: თფილისის ქალაქის სახელოსნო სასწავლებელში 20 სექტემბრიდან დაიწყო „ტექნიკური კურსები“, კურსებზე ასწავლიან: ხატვას, ხაზვას, არითმეტკას, რუსულს, ქართულ-სომხურს წერა-კითხვას, ფიზიკას, ქიმიას, მეხანიკას, კაჩეკრის საქმეს (ნავთის წარმოებლის ხელობა), ჩილინდრობას, და ჰიგიენას. მეცადინეობა არის კვირაობით დღის 9 საათიდან ნაშუადღეის 2 საათამდე. კურსე-

ბზე ყველას შეუძლია ჩაწეროს თვით სასწავლებელში. სწავლა უფასოა. ვინც ამ კურსებს გაათავებს, იმათ ეძლევათ მოწმობა. დღემდე ჩაწერილია კურსებზე 100 მსურველი: ამათში რუსი, ნემეცი და პოლონელი — 45, სომეხი — 28, ქართველი — 23 და 4 თათარი. ამათში სლესრებია — 34, ჩილინდრები — 4, მექვაბეები — 3, მქედელი — 4, კაჩეგარი — 2, თუჯის ჩამომსხმელი — 1, მემანქნეები — 2, ღურგალი — 8, მეჭაიტონე — 2, მებოჩე — 1, მხაზაფი — 1, შავი მუშა — 2, მეყდე — 1, მკერაფი — 1, მხატვარი — 1, ტელეგრაფისტი — 1, კანტორშიკი — 4, კონდუქტორი — 1, ვაჭარი — 5, გადამწერი — 2, ჯარის კაცი — 3, სხვადასხვა სასწავლებლიდან — 14 და სამიც უპრაფესიო. ხაზვას სწავლობს — 39, ხატვას — 16, არითმეტიკას — 27, წერა-კითხვას — 35, ჩილინდრობას — 8, ფიზიკას 30, კაჩეგრობას — 4. 18 დაღის რკინის გზიდან, მე-10 ნაწილიდან დაღის — 36, მე-7 — 12, მე-6 — 11, 1 ნაწ. 9, მე-4 და 6 — 7, მე-2 და 8 — 6, მე-9 — 3, ნავთ-ლოუხიდან — 2 და ივანოვიკიდან — 1. მასწავლებლებათ არიან ამავე სასწავლებლის 7 მასწავლებელი და 10 გარეშეები. სასურველია ყველა მოსწავლეებს თავ-თავიანთ ენებზე აუხსნიდნ საკნებს.

ქუთაისიდან გვწერენ: 16 ამ თვეს აქაურ ოლქის სასამართლომ განიხილა გელიეშილის და ყიფიანის საქმე და ყიფიანი გაამართლა. სასამართლო შედგებოდა სამი პირისაგან: კოვაჩი, შაგინოვი და ლ. ლოლუა. ბ. ყიფიანმა ლოლუას საქმის გათავების შემდეგ სამადლობელი ვიზიტი გაუკეთა. გელიეშილის ვეჭილს საქმე პალატაში გადააქვს.

კავალის“ კორესპონდენციები.

ათამი. აქაური ქალაქის საარჩევნო აგიტაცია ამ თვის 18 დაბოლოვდა კენჭის ყრით. კენჭის ყრა მოხდა კლუბის დარბაზში. ხალხმა დილა აღრიანათ იწყო თავის მოყრა, ამომრჩეველი დარბაზისაკენ მიი-სწრაფოდა, მაყურებელი კი გაღერეიასაკენ. ყველა ჯგუფს და პირს რალაც გამოურკვეველობა ეტყო-ბოდა, არც გამარჯვებაში იყო ვინმე დარწმუნებუ-ლი და არც დამარცხებაში. ზოგი კი წინასწარმეტ-ყველობდა: სრულიად მოულოდნელი არჩევანი იქნე-ბაო, ზოგი კი, გულის გასაკეთებლათ მგონია, ამ-ბობდა: ჩვენ, ქართველებს, ვერაფერა ვერ დაგვიდ-გება წინა. ყველაზე უფრო პესიპისტი სომხებს უწი-ნასწარმეტყველებდა გამარჯვებას. ასეთ ლაპარაკში ღ-დავაში შესრულდა 10 1/2 საათი ღ თავმჯდომარემ (ასა-თიანი) გამოაცხადა: ეთხოვ არა ამომრჩეველთ დარბაზი-

დან გაბრძანდნ. გაღიან. შემდეგ კრებას კანონიერად აღიარებს და კითხულობს საქალაქო დებულების მე-24 მუხლს, საიდანაც ჩანს თუ ვის აქვს კენჭის უფ-ლება და ვის არა. ვინც ამ კანონს გადაუხევეს და კენჭის ყრაში მონაწილეობას მიიღებს დასჯილი იქ-ნება ჯარიმით და შეიდი დღის დატყვევებითა — გა-ნაცხადა თავმჯდომარემ. შემდეგ კითხულობს ბარა-თებით დასახელებულ კანდიდატთა სიას. დასახელე-ბულია 214 კანდიდატი. ამათში 19 არ არის ამომრ-ჩეველთა სიაში და ამოშლილ იქნა კანდიდატთა სიიდანაც. თავმჯდომარე კითხულობს სიას: 5. ღუმ-ბაძე — 159 ხმა, ასათიანი — 138, (უარს ამბობს კენ-ჭის ყრაზე), ვოლსკი — 130, ზია ბეგ აბაშიძე — 122, ელიავა — 103, და ასე ბოლომდის. უმრავლესობამ უარი განაცხადა კენჭის ყრაზე, თავმჯდ: ამ პირებს გარდა, ვისაც სურს კენჭი იყაროს, განაცხადოს და დაედგმება ყუთი. არაფინ არ აცხადებს. 5. ღუმბაძე: ბატონო თავმჯდომარე, რადგან ბევრმა ამომრჩეველმა რუსული არ იცის, ამიტომ უკეთესი იქნება ქართუ-ლათ უთხრათ, სურთ ყუთის დადგმა თუ არა. თავ-მჯდომარე ხელ-ახლა კითხულობს კანდიდატთა სიას და უხსნის ქართულათ. შემდეგ თავმჯდომარე ჩამო-უვლის ყუთებს და აჩვენებს ხალხს, შიგ არაფერი ყრიაო. ზოგი ყუთი უფარგისი აღმოჩნდა. კენჭის ყრის სურვილი განაცხადა 106 კაცმა. ამათში 33 ქარ-თველია, 8 ქართველი მაჰმადიანი, 35 სომეხი, 20 რუსი, 10 ბერძენი. ამომრჩევი ხმა 332 არის. (28-ს ორ-ორა ხმა აქვს). ამაში ქართველების 123 ხმაა, სომხის 92, რუსი 40, ბერძენი 39, მაჰმადი-ანი 38. თავმჯდომარე მეორეჯერ აცხადებს: ვისაც კენჭი არ აქვს გაბძანდეს დარბაზიდანო და მერე ასახელებს 21 ასისენტს. ამათში ქართვე-ლია — 9, რუსი — 7, ბერძენი — 2, სომეხი — 2, მაჰმა-დიანი — 1. თავმჯდომარე: ასისენტის მოვალეობაა იდგეს თავის ხუთ ყუთთან, ამომრჩეველს კანდიდა-ტთა გვარი წაუკითხოს და კენჭი მიაწოდოს. ყოვე-ლივე ახსნა ან განმარტება კანდიდატის ეინაობის, მი:ი ჩინის, ხარისხის, ეროვნობის და ხელობის თავის-თავათ კარგია, მარა აქ არ შეიძლება, რადგანაც ეს რამდენიმეთ დაძალება იქნებაო. ყუთზე მიკრული კანდიდატის სახელი და გვარი მხოლოთ რუსულათ არის დაბეჭდილი, ხოლო ბევრმა კი რუსულის კი-თხვა არ იცის. პირველის ნახევარზე იწყება კენჭის ყრა. ოთხის ნახევარზე ასისტენტი ბეთანოვი უცხა-დებს თავმჯდომარეს: ესოფ ბოიანის ყუთი უფარგი-სია, კენჭები, მგონია, ყუთს ყელში ურჩება ღ ქვევით არ ცვივა. თავმჯდომარე ათვალეირებს, ყუთს აქეთ-იქით აქანებს... და .. კარგიაო ამბობს. სალამოს შეიღის ოც წუთზე დასრულდა კენჭის ყრა და დაიწყო კენ-

ქის თვლა. თვითთავი ასისენტი თავ-თავის ყუ-  
თებს ითვლის, ზოგი კენჭი უალაგო ალაგას აღმო-  
ჩნდა, რასაც ჩვენ აქ ფრჩხილებში ჩავსვამთ. აი ვის  
რამდენი ხმა ამოუვიდა: დუმბაძე 180 თეთრი და 150  
შავი, ამის გაგონებაზე ბევრმა ამოიოხრა და მიტემა-  
მოტემა ატყდა, თეთრი ცოტააო. ეს ცუდი ნიშანია  
ქართველებისთვის ამბობდნენ აქა-იქ. ვოლსკი—150  
(11) თ. და 171 შ. საერთო გაკვირება და ხმაუ-  
რობა. ქართველობა დამარცხდა—ამბობდნენ ყველა  
კუთხეში. ზოგ ბეგ აბაშიძე 167 (4) თ. 161 შ. ლ.  
ქიქოძე 165 (1)—166; მურომიოვი 253—79, მან-  
როპულო 163—169, ახილეს დიმიტრიადი 170—  
162; ქუთათელაძე 157—174; გედევანოვი 178—  
154, ელიაე 193—139 (სომხებმა ტაში დაჭკრეს);  
სევერინი 165 (15)—150 (2); სევერინის ყუთში 15  
კენჭი თეთრის განყოფილების ქვეშ ნახეს. ზოგი  
ატყდადებს ეს არ უნდა იქმნას ჩათვლილია. თავჯდ.  
—ეს უნდა გადაწყვიტოთ ახლაც ყველასათვის. ვი-  
საც სურს, რომ ასე ნახული კენჭები დათვლილი არ  
იყოს, ხელი ასწიოს. ასწია რამდენიმემ. ჰედლიშვილი:  
ბატ. თავმჯდომარე, გადაცეინული კენჭები უნდა დაე-  
თვალოთ, თეთრი განყოფილებისავე ჩაცეინული  
თეთრს მიეთვალოთ და შავისაკენ შავს. დაუთვლე-  
ლობა უსამართლობაა. რით არის დამნაშავე კანდი-  
დატი თუ მისი ყუთი უვარგისია? აქ დამნაშავე ყუ-  
თის მომტანია და არა ის. თავმჯდ.—კითხვა გადაწ-  
ყვეტილია: არ უნდა დაეთვალოთ. ჰედლიშვილი: კი  
მაგრამ თქვენ შეკითხვაზე ძალიან ცოტა განდა ამის  
თანახმა. თავმჯდ.—კითხვა გადაწყვეტილია. გრუნდრი-  
ზერ 186—146; სოლ. საბაშვილი 117—210; პე-  
ლე მკვდლოვი 164—167; საბაევი 184—148; სუ-  
ხანოვი 88(41)—200; ივანე კაკაბაძე 137(1)—192;  
გუგუშვილი 154 (2)—163; იაკალის 157—175;  
გრიელსკი 184—145; მ. ნაკაშიძე 199—132; ხუ-  
დადოვი 196—136; ვაკე 234—98; სიმონოვი 196  
—135; სელედრენიკოვი 154—178; რომანიდი 189  
—142; პოდალეცკი 186—145; გაგოჯანოვი 158—  
174; ბერძენიშვილი 131—200; ივანოვი 124—208;  
ომარალა 117—216; დ. მაქუტაძე 131—151; მი-  
ხაილიდი 181—151; ლ. მკვდლოვი 133—199;  
ბეთანოვი 157—174; მ. ნიკოლაძე 143—184; პე-  
შეკროვი 161—170; ჯაიანი 80—251; (ხმები: ახია,  
მოლალატევი!); პარანბეგოვი 173 (6)—153; ოკანე-  
ზოვი 166—166; საბაქთარიშვილი 160—172; ბარ-  
კალაია 126—203; ჯაყელი 155—177; პოდსკი  
132—198; ტარუმაძე 168—162; ტრიანდაფალიდას  
240—93. აი ესენი შეადგენდნენ იმ უმტკრესობას,  
სადანაც იქმნა უმრავლესი ხმოსანი არჩეული. შემ-  
დეგ გათეთრდა სულ ხუთი. აი ამათი სახელები: პა-

ლმა („ჩერნომორსკი ვესტნიკის“ რედაქტორი) 188  
თეთრი 138 შ. (ზოგი ტაშს უკრავს, ზოგი კი სამ-  
წუნაროთ! ვაიძახის); ხოჯამიროვი 197 (29)—95  
(10); ბარათოვი 168—164; ფეზულა აბაშიძე 176  
156, ბოგოსლოვსკი 180—152. სულ არჩეულ იქ-  
მნა 27 ხმოსანი, ამათში 8 რუსი, ქართველი 7,  
ბერძენი 6, 4 სომეხი და 2 მაჰმადიანი. ასარჩევია  
კიდევ 14 ხმოსანი და 8 კანდიდატი.

კენჭის ყრის დროს ვერ იქმნა დაცული კანო-  
ნიერი მსვლელობა. ყუთები არ ვარგოდნენ, კენჭი  
ადვილათ გადაცვივოდა თეთრიდან შავში და შავი-  
დან თეთრში; ზოგი ასისენტიც თავისუფლათ ებ-  
ყრობოდა ყუთებს. ხშირათ აიღებდა და აქეთ-იქით  
გადაქან-გადმოაქანებდა და თუ კენჭი ყელში იყო  
დარჩენილი, უეჭველია იქით გადავარდებოდა საით-  
კენაც გადაქანდებოდა. გარდა ამისა ზალაში ბოლოს  
და ბოლოს ბევრნი იყენენ ისეთნი, რომელთაც ხმა  
არ აქვთ, კარები ღია იყო და ვისაც სურდა ის შე-  
მოდიოდა თავისუფლათ. ერთი მოვრალიც კი იყო შიგ  
და ერთი ღედლოც. იქავე ბუფეტი იყო და მეკენჭე  
თუ არა მეკენჭე სასმელებს შეექცეოდნენ და მერე  
საარჩევნო დარბაზში შემოდოდნენ. ამბობენ ერთმა  
უწლოვანომ მიიღო მონაწილეობა კენჭშიო. ერთი  
სიტყვით კანონიერობა ვერ იქმნა დაცული არჩევნის  
დროს.

სონი. პირველი ზარი პატრიარქალურ წესწყობი-  
ლების დარღვევისა და ახალ, თანამედროვე ბურჟუ-  
აზულ წესწყობილებაში ფენის შედგმისა ჩვენ „კურ-  
თხეულ სამშობლოში“ დაირეკა იმერეთში. იმერლე-  
ბმა ქართველებში სხვებზე გაცილებით მეტი ძალა  
ღ ღონე გამოიჩინეს მის შეთვისებაში. ისინი თითქმის  
მზათ დაუხედდნენ მას. მის ეკონომიურ განვითარებას  
ჩვენში ხელი შეუწყო მიწის სიციწროვემ, უქონლო-  
ბამ. გლეხი, აზნაური, თავადი, მღვდელი—ყველა მი-  
წის უქონლობას ჩივის. მართლაც ძლიერ ცოტა მიწა-  
წყალი აქვთ ჩვენში საერთოთ ყველას. აქ იმისთანა  
მებატონეს ვერ ნახავ, რომ ათასობით ქცევა მიწა  
ჰქონდეს, მართალია ზოგიერთ აზნაურ-თავადებს ერთ  
დროში საყოფი მიწა ჰქონდათ, მაგრამ ახლა იმათი  
მამული ბანკის საკუთრებას შეადგენს. ხალხის გამრავ-  
ლებასთან ერთათ მათ ხელიდან ეცლებათ უმთავრესი  
დედაბოძი ეკონომიურ კეთილდღეობისა—მიწა-წყალი,  
და უკანასკნელს არ შეუძლია დაკმაყოფილოს მისი  
დღევანდელი მოთხოვნილებანი. ხალხმა უკვე შეიგნო  
ეს და ხელი მოჰკიდა სხვა-და-სხვა დარგს მრეწველო-  
ბისას: მეაბრეშუმეობას, ბალახობას, მევენახეობას.  
აგრეთვე ხალხი ირეკება სოფლიდან, გადის ქალაქებში  
და აქ ან დღის მუშათა და ან ჩარჩ-მიკიტნათ ღებდა.

თითქმის მთელი ქვემო იმერეთის შინაურ მრეწველობა-ვაჭრობის ცენტრათ ხონი ითვლება; ის მისი დედა-ძარღვია. ხონი დაარსებულია ათასი წლის წინათ ბევრ-ჯელ აოხრებული იქნა ის, მაგრამ მისი სახელი არ აღგვიღა დედაიწის ზურგიდან, როგორც ბევრ ჩვენ-ბურ დაბა-ქალაქებს ხედა წილათ, ის კიდევ ძველებურათ დალალობს მეგრელთა და იმერელთა შარას. ამის მიზეზი ერთი მხრით თვით დაბის მდებარეობაა და მეორეთ ხონელების თანდაყოლილი მიდრეკილება ვაჭრობისადმი. ახალგაზდა ხონელი და მიწის მუშა წარმოუდგენელია. მართლაც ერთ ხონელს ვერ ნახავ, რომ ბედი არ ეცადოს ალებ-მიცემობაში. ის არაფი-თარ ხელობას არ არჩევს. მისთვის სულ ერთია მჭი-დელი და ვაჭარი, ოღონდ დუქანი კი ჰქონდეს და შიგ ფული ტრიალებდეს. ხონელები წინათ სავაჭროთ სტამბოლში მიდიოდნენ, იქიდან ჩამოჰქონდათ საქო-ნელი და ცნობილიც იყვენ სათათრეოში, როგორც გამოცდილი ვაჭარნი. აქ კვირაში ორჯერ იმართება ბაზრობა: ხუთშაბათობა და პარასკეობა. პირველი მართო ქალების ბაზრობაა. ამ დღეს გამოაქვთ ყოველ-გვარი შინაური ნაქსოვები. პარასკევი კი ხონის სულის ჩამდგმელია, გამაცოცხლებელია. ამ დღეს ხონი რამო-დენიმე ათასი სულით იმატებს. ხალხი ახლო მაზრები-დან და სოფლებიდან შემოდის. სხვა ტომის ხალხს აქ ძვირათ შეხედებით. ბაზრობა განიჩევა მით, რომ ქალები პირ ახვეული დადიან. ვაჭრობა გრძელ-დება საღამოს ხუთ საათამდე; აქ ზაფხულობით მარ-თვენ რამდენსამე ფარდულს, სადაც პარკს ყიდულ-ობენ. პარკი ზოგი გააქვთ და ზოგს კი ადგილობრივ ამუშავენ. ამისთვის აქ გამართულია ორი ფაბრიკა; ერთში პარკს ძაფათ იღებენ და მეორეში კი ქსოვენ. მუშაობა ორივე ალაგას წარმოებს პატარა 13, 14 წლის გოგოების შემწეობით. არსებობს აგრეთვე „სახერხავი“; უკვე დამთავრებულია მარსელიის კრამიტის ქარხანა, რომელშიაც სხვა-და-სხვა მიზეზების გამო მუშაობა ჯერ არ დაწყებულა.

სწავლა განათლების საქმე აქ კარგ დონეზეა დაყე-ნებული; არსებობს დაბალი და საშუალო სასწავლებ-ლები. საუბედუროთ ისინი მაინც ვერ აკმაყოფილე-ბენ მცხოვრებთა მოთხოვნილებას. მაგალ. წელს ორკლასიან ნორმალურ სასწავლებელის პირველ გან-ყოფილებაში ორმოციოდე ადგილზე ასოცდა ერთი თუ ორი მოხონელი იყო. ისინიც იმგვარი ბავშვები, რომელთაც ერთი წელი გაუტარებიათ სკოლაში. სამასწავლებლო სემენარიაში ათიოდე ადგილზე ორ-მოცდა რვაამდე მოხონელი იყო. ამგვართვე სხვა სას-წავლებლებში. ვიმედოვნებთ, რომ ნორმალურ სასწავ-ლებლის ზედამხედველი ბ. ს. გაგუა თხოვნას აღძრავს მხრუწველის წინაშე, რომ ნება მისცენ პარალელური

კლასების გახსნისა, თორემ ძლიერ გლახა მდგომარეობაში ვართ ჩაყენდები. აქ არ არსებობს ბიბლიოთეკა, ხონელებს არ აქვთ შენობა თეატრისთვის, თუმცა ხალხს შეგნებული აქვს მისი საჭიროება. მიზეზი ჩვენ-ბური დაუდევრობაა.

შავია—ღია.

ს ა ზ დ ვ ა რ - გ ა რ ე თ


**საფრანგეთი.** საფრანგეთის ახალი არჩეული პარ-ლამენტი ძალიან დაუდგრომლობას და გაუტყვე-ლობას იჩენს. ის ერთ და იმავე სხდომაზე ერთ და იმავე საგნის შესახებ სრულიად სხვა-და-სხვანაირ გადაწყვე-ტილებას ადგება და სამინისტროებს ძირს უთხრის. 2 ივნისს მან გადააყენა მელინის კაბინეტი, და მერე როგორ? პარლამენტს მიიღო კაბინეტის მიერ შეწყნა-რებული წინადადება შესახებ დემოკრატიული რე-ფორმებისა. მეორეთ მიიღო მთავრობის მიერ უარ-ყოფილი წინადადება: სამინისტრო მხოლოდ რეს-პუბლიკანელთა უმრავლესობას დაემყაროსო. ამ ნა-ირათ, პარლამენტმა კიდევაც მოიწონა მელინის კა-ბინეტი და კიდევაც დაიწუნა ი. ი. მელინი დაეცა. სწორეთ იგივე განმეორდა 13 ამ თვეს. ჯერ პარლა-მენტმა 316 ხმით წინააღმდეგ 230 შეიწყნარა კაბი-ნეტის თამჯდომარის ბრისონის შემდეგი წინადადე-ბა: სამოქალაქო ძალა სამხედრო ძალაზე მაღლა და-ვაყენოთო. მერე კი მან გამოთქვა ის აზრი, რომ მხედრობა „ერთგული დარაჯია რესპუბლიკანურა კა-ნონებისა“ და ბოლოს მოითხოვა, მთავრობამ ბოლო მოუღოს მხედრობის წინააღმდეგ აკტივაციასო. თუმ-ცა სამინისტრომ განაცხადა არსებული კანონები ამას არ გვანებებენო, მარა უმრავლესობამ მაინც მიიღო წინადადება, და მთავრობას უნდობლობა გამოუცხა-და. დაეცა ბრისონის კაბინეტიც, მარა ამით სრულე-ბით არ გადაჭრილა უმთავრესი საკითხი: რა სურს და რანაირი მიმართულებისაა პარლამენტი. ეს ისევ გამოურკველი დარჩა. აი, ასეთ დახლართულ პირო-ბებში შეუდგა ფორი ახალი მანისტრების მოძებნას და, როგორც უკანასკნელი ტელეგრაფმა იუწყება, კი-დევაც მოუწახანეს. ეს არის შარლ დიუპუის თაქჯდო-მარეობით შემდგარი კაბინეტი. დიუპუის უკანასკნე-ლი სამინისტრო მოღვაწეობდა 1894 წ. და დიდი ვერაფერი მოღვაწეობა გამოიჩინა. ის არის ბრძო-ლის კაცი, ის ებრძვის მოწინავე პარტიებს, განსაკუ-თრებით სოციალისტებს და რადიკალებს. ჩვენ არა-სოდეს არ დაგვეიწყებდა მისი სიტყვები პარლამენ-ტის ტრიბუნიდან წარმოთქმული: ჩვენ არ გვინდა ქალაქის ავთოაქი და არც მიეცემთ ნებას ქალაქ რუ-

ბეს ის დაარსოსო. — რატომ? შედეგითა რუბეს წარმო-  
მადგენელი ქულ ველი. — იმითომ რომ ის სოციალი-  
ზმი: ი უპასუხა მინისტრმა. აი, დღუბუი. მან კიდევ  
სახელი გაითქვა იმით, რომ როცა ანარქისტ ვაიან-  
მა პარლამენტში დინამიტო აავიკო, დღუბუიმ დაი-  
ძახა: la séance continue — სხდომა გეუდღებოა.  
ასეთი ყონალობისთვის ერთმა პოლემ მას კარგოლო-  
მა უბოძა. დღუბუის ახალ სამინისტროში როგორ-  
ღაც რამდენიმე რადიკალსაც მოუყრია თვაი. ცხა-  
ლა, ეს სხვა-და-სხვა პარტიის სამინისტროა (კონსერ-  
ვატიკო) და დიდ ნაბიჯს ვერც წინ ვადღავს და  
ვერც უკან; უკან წამსვლელთ მოწინავენი არ გაუ-  
შებენ და მოწინავეთ უკან წამსვლელნი. ერთი სი-  
ტუეით ახლანდელი სამინისტრო. თავის თავს. შეაკ-  
დებოა..

— საკაცელიო სამსჯავრომ გადაწყვიტა დრეი-  
ფუსის საქმე ზელ ახლა ვაღაშინჯულ იქმას. ხო-  
ლო თვითონ დრეიფუსი ჯერ დარჩეს „შეშაკის კუ-  
ნიძულეო“. ეენის ერთი გაზეთის სიტუეით გერმანიის  
იმპერატორს ვილჰელმს სტამბოლში უთქვამს: გთელ  
ამ საქმეში (დრეიფუსის) ყველაზე უფრო საკვირვე-  
ლი ის არის, რომ მე ვითომ დრეიფუსისთვის წერი-  
ლებში მიმეწეროს და ეს მინისტრ ხანდაზმ 27,000  
ფრანკთ ეთილისა!“

**მომხანია.** ბერლინის 57 ათისი სხვა-და-სხვა  
ხელობის მუშა შეერთებულია და აქვს საკუთარი  
ორგანიზაცია. ამით ცენტრალურ გამკეობას ვანუზ-  
ნაზეს ბერლინში დაარსის მუშათა სერკატორიატი  
ანუ ბიურო სამი განყოფილებით. პირველი განყო-  
ფილების მოვალეობა იქნება მისცეს ყოველვე ცნო-  
მა მუშათა მოძრაობ-ს შესახებ თვითოეულ ორგა-  
ნიზაციას, მეორის საქმეა მისცეს ყოველივე ცნო-  
მა და განმარტება მუშათა კანონმდებლობის შე-  
სახებ და მესამის — მისცეს ყოველვე დარავება და  
ჩრევი სამოქალაქო კანონების შესახებ. ერთი სიტუ-  
ეით მუშამ აქ უნდა პოვოს პასუხი ყველა იმ კი-  
თებებისა, რაკია მისთვის საჭიროა. ამ ბიუროს  
ხაზიკ წელწოდებთ ავი 15 — 20 ათის მარკამდე,  
რამილის ერთი ნაწილის დავარება ქალაქის სხვებსა  
თხოვენ.

— ჰესენში ამ კმათ სასახოა მასწავლებელთა  
მოძრაობაა ვაჯარისის მომატების შესახებ. აქუ-  
რა მასწავლებლები სოფლის სკოლაში ლებელობენ  
პირველ სამ წელწოდებ 1000 მარკას წელწოდებში,  
შემდეგი ექვსი წლის განმელობაში 1100 მარკას  
და ამა ენებებთ თან დათან, ხოლო მისი მასწავლე-  
ბელობის 2000 მარკას წელიწად 2000 მარკა წელი  
წოდებში. ქალაქებში კი მესეს ლებელობენ. მას. დამ-  
მტადნი მასწავლებლის ვაჯარო აღის 2500 მარკა



მდე, ასევე ვაიწუში, ოვენბაში 2600-მდე და სხ  
აი, ეს ვაშაგირი ცოტათ არის შინეული და მოა-  
ტებას თხოულობენ.

**ბელში.** ქალაქ ანტვერპენში ამ კმათ ასო-  
აწყობათა და დამეჭვებუთ ვაგუჯია. ესენი თხოუ-  
ლობენ სხვა საათის სამუშაო დღეს და ხუთ ფრანკს  
როგორც ქირის მინიმუმე, ნაკლებთ სამ ფრანკს ნა-  
ხევრის და ოთხ ფრანკს ნახევრისა ვანებების პატრო-  
ნებთ ავხადებენ, რომ ვანებთის ხარჯები ნებას არ  
აუდევნ ქირის მომატებისას. ამთ დაარსვის ვაგეცო-  
სთან საბრძოლველი ფონდ 12 ათის ფრანკით. ხუ

თი ვანებთ აღარ ვამოდის, ზოგ ვანებთ აწყობენ  
თანაშრომლები და ასე საკოდეით ვამოკავთ.  
**ამსტერ-ამსტერში.** ქალაქ პრაგაში მთავრობამ  
მოიწვია სათადარიგო ვარის კაცი დასაყოფიერე-  
ბათა. ავსტრიის კანონით ვამოძახების დროს ვარის  
კაცმა ნებეცუერთი უნდ მოუვოს hier — აქ ვარ. პრა-  
გის ვარის კაცებმა პირველ ვამოძახებდითანავე ჩე-  
ხეთთ მიუცეს Zide, ეს ჩავივალს დისკულირის დარ-  
ღევეთ და ამ მემამონებო სატუსალოში უტყეს თა-  
ვი. ამაზე ჩხების პოლიტიკისებმა ერთი დავიდარაბა  
ასტებეს და მინისტრს მოთხოვეს ნება დავითო სა-

შობლო ენაზე პასუბის მიცემაზე, რაც შესუსწარებე-  
ლი დარჩა. მიუხედავთ სასჯელისა, მეორით ვამო-  
ძახების დროს თითქმის ყველა ვარის კაცი (რაც  
ხეით 80) დღე-ენაზე ვამოვასუბა. ამ ვარეშობამ  
ვამოიწვია აიტაცია ვარეშობა ჩხებური ენის შემოღე-  
ბისათვის. ჩეჩის სახელმწიფო დაწესებულებებში უკვე  
შეიტანეს ჩხებურა ენა ახლა ის მხედრობამოკათ თუ შე-  
იტებეს, ნებეცუეო ენა ჩხეზინი ძალიან შესესტება.  
**ნაიაონია.** რანაირათ იაპონიელთ ვაგეშობე-  
ლებთ ეტყანებთ ხანს შემდეგადან: ერთი იაპონური  
ვანებთი წერილებს ეტროპიულ ენაზედაც ჰკებდას, უფ

ქუბის მამლები.



რო ინგლისურათ. ასე რომ ერთი და იგივე წერილი ერთ და იმავე ნომერში იაპონურათაც არის და ინგლისურათაც. ამასთანავე ამბებს ბეჭდავს იაპონურ ენაზე, მარა ლათინური ასოებით. იაპონიაში კაი ხანა მეცადინეობენ ლათინური ასოების შემოღებაზე.

**ბაზარი.** თუთი ჩეენებური სიმინდისა ლონდონში ღირს 71<sup>1</sup>/<sub>4</sub> კაპეკათ. პარკის ფასები იგივეა.

გამხადებულს, მითითლარ სელში,  
გაკვრავ სემებს, ვაკვრესებ,  
ვატირებ და იმ სემებს  
მოიტატებს სიო ნელი,  
მოჭყენს მთას და მოჭყენს კელს!..  
გაიდვიებს სულ მიდამო  
რკინის უღლით განამწარი  
და ჩემ სმსა სმსა მოსტყმს  
აჩე-მარე, მთა და ბანი!..

ბ. გოგოლაძე.

პოეტი.



ული წოს გმნობს მარტობას,  
გული გმნობს დაცმწკელს,  
წოს არ მალ-უძს შეკვება  
შეგუბებულ შხამ-ნადველს,  
წოს ტკბილი ხმა აწით მესმის,  
თითქო ქვეყნით განამდგასა,  
წოს ამათ ვიწვევ ჩემთან,  
გუსმობ გულ-წრფელ მეგობარსა—  
მაშინ ვიდეო გალამს ხელში,

გმნავ სიმებს, გაწეობ ჩანგს,  
და დაგძევი ნადვლიან ხმით  
ჩემ გმნობას და გულის დაწდას.  
სად არა ვარ აბა მაშინ:  
ხან ზეტში აგეშეები,  
ქვემ მოვიტყე შავ-ღრუბლებსა,  
თვით ტის ვიდეო გაგეგვრები.  
ხან მიწისკენ დაგეშეები  
და ერთ წუთში ზღვა და სმელეთს  
შამოვივლი, ვნახავ ეველსა,  
სამოთხეს და თვით ჯოჯოხეთს.  
ხან დიდ-გაღის უწილთ მოართულს  
სასტუმროში შავიჭრები,  
იქ მხვდებიან ბედნიერნი,  
მუდამ ტკბილათ მომდიმრები!  
მოვისმენ მათ სიცილ-მღერას,  
მათ უდარდელ უწილ ენას,  
ვნახავ იმათ დროს ტარებას,  
მათ ქეიფს და იმათ ღებენას.  
ხან ტანჯულთა გუნდში შეკვალ,  
უუწს დაგუჯდებ იმათ კვნესას,  
ვნახავ იმათ შწარე ნადვლით  
შეკობილ სანეს, ცრემლთა ბნეკას!..  
წა მოვივლი ამაებსა,  
ადმეოთებულ გულისთ მკეჭლში,  
ვიდეო ჩანგსა აწეობილსა,

ქ. ქუთაისის მეაბრეშუმეთა ამხანაგობის  
გამგეობის საყურადღებოთ.

დამ ქამათ ამ შემოხსენებელი ამხანაგობის საქმის ვითარება და გარემოება თხოულობს, რომ გამგეობამ მოახდინოს ამხანაგობის ლიკვიდაცია და შემდეგ თუ ამხანაგობის წევრები მოისურვებენ შედგეს ახალი ამხანაგობა გაუმჯობესებულ ნიდაგზე, ახლათ გადაკეთებულის წესდებით. ამას თხოულობს წევრთა უმრავლესობა, თვით საქმე და გამგეობამაც კარგათ უნდა იცოდეს, რომ სხვა საშუალება აღარა არის რა გარდა ლიკვიდაციისა. სასურველია ვიცოდეთ, რალათ აგვიანებს გამგეობა?! რატომ დასასრულს არ აძლევს ამ საქმეს ავით თუ კარგათ?! წევრებს ზარალი ისეც ეყოფათ და რალაზე ეწევა გამგეობა უბრალო გამოუსადეგარ ხარჯებს?... ქარხანა დაკეტილია, სადგომის ქირა და მცველს ხარჯი თაენიდან ეძლევათ. უმაღლესმა მთაერობამ გაპგეობის უფლებდა აღადგინა გამგეობა წევრთა თანხის დასაცველათ თავს სდებდა სამსხერპლოთ, დღეს კი ნაშთი ამა თანხისა, რომელიც მათ ჰქონდათ მიზარებული საზოგადოებისაგან საწარმოებლათ და მოსაგებათ, უნდა გაქრეს სხვა-და-სხვა უსარგებლო ხარჯებში. ჩვენი თანხა, რომ წარმოებაში დაღუბულიყო სრულიად კმაყოფილი ვიქნებოდით, მაგრამ სამწუხაროა ის, რომ უმოქმედოთ უნდა მოკედეს არა რაობისათვის ბრძოლაში. ჩვენ გვგონი რომ დროა გამგეობამ დასასრული მისცეს ამ საქმეს, ავით თუ კარგათ ეს მისნებაა, ოლონდ კი ბოლო ჰქონდეს.

ამხანაგობის ერთი წევრთაგანი

ახალი ტიპი ჩვენს ცხოვრებაში. \*)

(„ფიზიკალი დაკვლამე“ ლალიონისა. მოაბე 1895 წ. IV—V)

დამ ბოლოს დროს ხშირათ გაისმის სამდღურავი ჩვენ მწერლობაზე; მას დაწერილობანებას, დაკინებას, უშინაარსობას წამებენ. უმეტესათ მე90-ე წლების ბელეტრისტიკას მე-80-ე წლების ნაწერებს აღარებენ, მწუხარებით და გოდვით აღნიშენენ პირველის

\*) ამ წიკრის დაბეჭდავას მალთან დაგვიგვიანდა. რედ.



დაქვეითებას, ალტაცებით იგონებენ მეორეს და-  
 აზროვნებას, დიდ-შინაარსიანობას, მხოლოდ დასა-  
 ბუთებით არაფის წარმოუთქვამს ჯერ ამის შეახებ  
 თავისი აზრი; თითქმის ყველა უცხო ქვეყნების იმა-  
 ვე მოვლენაზე გვეითებენ, და მწერლობის საზოგადო  
 რეაქციას გეიმტიცებენ (რასაკვირველია უსაბუთოთ).  
 რაში გამოიხატება ეს რეაქცია, სინამდვილე მოწ-  
 მობს ამას თუ არა? ეს კითხვები თითქო უკვე გა-  
 დაწყვეტილი იყოს, მაზე არაფერ პასუხს არ იძლევა.  
 ჩვენ სრულიად ფიქრათ არა გვაქვს ამაზე საუბარი;  
 გაკვრით ვიტყვი მხოლოდ, რომ ეს ბრალდება სი-  
 მართლეს მოკლებულია, მას არაფერთარი ფაქტიკური  
 დამტკიცება თან არ სდევს, იგი მხოლოდ საგნის  
 შეუსწავლებლობის მიზეზია და არა მცენიერული კრი-  
 ტიკის დასკვნა; იგი მხოლოდ თავისებური სიმპატიო-  
 თა და ანტიპატიოთ ხელმძღვანელობს და არა ცხო-  
 ვრებისა და მწერლობის შინაარსით, მათი შედარე-  
 ბით და აწონ-დაწონით. აბა გადაფურცლეთ ჩვენი  
 ჟურნალ-გაზეთები, თუ დინჯ მიუდგომელ, ცნობიერ  
 კრიტიკას იპოვით. ყველგან და ყოველთვის საზო-  
 გადო ფრაზებს ამოიკითხავთ: ჩვენი მწერლობა დე-  
 ცა, ის აჩრდილიც აღარ არის თავისი წინაპრისა და  
 სხვ. განა ეს ასეა? მოვიგონოთ უკანასკნელი წლე-  
 ბის მოთხრობები: ე. ნინოშვილისა, მელანისი, დ.  
 ერისთავისა, დ. კლდიაშვილისა, შ. არაგვისპირელი-  
 სა და სხვ., გავისწავლოთ, რა სინამდვილით და ზოგი  
 ხელოვნურათაც ხატავს ცხოვრების სურათებს, რა  
 სიმარტივით და ნათლათ აღნიშნავს დიდმნიშვნელო-  
 ვან ფაქტს! ხშირათ, თუ რომელიმე მოთხრობის და-  
 ფასება გვეჭირს, ამის მიზეზი თვით ჩვენ მიერ ცხო-  
 ვრების უცოდინარობაა. ამნაირი გულ-გრილობა ჩვე-  
 ნი გულ-გრილი ბუნების ბრალი როდია, მას თვი-  
 სი ქვეყნის შეუსწავლებლობა უდევს სარჩულათ; ამი-  
 სი მიზეზი გარემო პირობათა შეუვნებლობა განლავეთ.

მე მსურს დღეს გესაუბროთ ერთ ქართულ ხე-  
 ლოვნურ ნაწარმოებზე, რომელიც აგერ მესამე წე-  
 ლიწადა, რაც ჟურნალ „მომამბეში“ დაიბეჭდა, მაგრამ  
 სრულიად შეუმჩნევლათ დარჩა უმრავლესობისაგან 1).  
 მე მაქვს მხედველობაში ლალიონის ფირალი დაე-  
 ლაძე 1895 წლის „მომამბის IV—V ნომრებში მოთავსე-  
 ბული. ამ მოთხრობის გარჩევა, მისი სურათების გა-  
 მორკვევა დაგვანახებებს, თუ რამდენათ სინამდვილით  
 არის იგი ცხოვრების „გულის პასუხის“ გამომთქმე-  
 ლი, რა საყურადღებო და დიდ შინაარსიანი მოვლენ-  
 ნაა მაში აღნიშნული, რა ღრმათ და სიმარტივით

1) პიკველათ ბ. ნოე უაღრანამ მიაქცია ამ მოთ-  
 ხრობას უყრადღება. ის კვალე 1896 წლ. სტ. „მესა-  
 მოცე წლების მოღვაწეები“.

აქვს ავტორს იგი ვადმოცემული. მაშ პირ-და-პირ  
 ლალიონის მოთხრობას მიემართოთ: ავტორი „სა-  
 თამაშოში“ გამოსულა და „აგონდება რა თვისი წარ-  
 სული ბავშობა, ის ნეტარი დრო, როდესაც ისიც  
 მოუთმენლათ გარბოდა „სათამაშოში“, თვალ-ყურს  
 ადევნებს ამ განახლებულ სურათს. აგერ ყმაწვი-  
 ლი კაცი და ქალი ლეკურს უფლიან. „გატაცებით  
 ადევნებს თვალს მათ მოხდენილ მოძრაობას, მაგრამ  
 ამ დროს ერთმა სხვა მოულოდნელმა სანახავემა უე-  
 ცრათ ბოლო მოულო მის სიამოვნებას: ვახზე გა-  
 მოჩნდა ოთხი კაცი; სამი მათგანი თოფით შეიარა-  
 ლებული გლეხები იყვენ, ხოლო მეოთხე 22—23 წლ.  
 ახალგაზდა იყო. ეს უკანასკნელი კარგათ გამოწყო-  
 ბილი იყო ჩოხაში, მის ლამაზ სახეზე სიამაყე და  
 გამბედაობა იხატებოდა“. ეს იყო პატიმარი, ავტო-  
 რის ნაცნობი ივანე დავლაძე. ავტორი პატარაობისას  
 იცნობდა ვანოს, „ახლა კი ეს ვანო უკვე წვერ-  
 ულვამ აშლილი, სიცოცხლით სავსე ქაბუკი, სატუ-  
 სალოში მიჰყავდათ“. ავტორი იგონებს მის წარსულ  
 ცხოვრებას და მკითხველსაც შემდეგ ამბავს მოუთ-  
 ხრობს:

ივანე იყო იმ გიორგი დავლაძის შვილი, რო-  
 მელმაც მთელი თვისი ყმაწვილობა დრუჟინაში გაა-  
 ტარა და სამსახურიდან დათხოვნილ იქნა „პრაპორ-  
 შნიკობის ეპოლეტების შოვნას შემდეგ. დაბრუნდა  
 თავის სოფელში, სადაც იმდენი მამული კი ჰქონდა,  
 რომ ერთ დროს ღარიბ ახნაურათ არ ჩაითვლებო-  
 და. პატარა ვანოს „მშობლები თავს ევლებოდენ და  
 ნებიერობაში ზრდიდენ. ბავშვს რომ თავი წამოსტყე-  
 ნოდა, ერთ ალიაქოთს ასტებდენ, ათას რასმე შემო-  
 არებდენ თავზე“, წირვას გადაუხდიდენ „ნაბრალევი“  
 არ იყოსო. კარგა მოჩიტებული ვანო, ერთი ნაცნო-  
 ბი ქალის რჩევით ოზურგეთის სამოქალაქო სასწავ-  
 ლებელში მიაბარეს. „ვანო ბუნებით ნიჭიერი ყმა-  
 წვილი იყო, მაგრამ სკოლა ამ თავიდანვე შეიძულა.  
 ბოლოს დედ-მამას გამოუტყდა: „მე სასულიერო  
 კლასი მიჩვენია, იქინეი უფრო კარგათ ვისწავლიო.  
 ამაზე მშობლებიც დათანხმდენ და ვანო სასულიერო  
 სასწავლებელში მიაბარეს. მაგრამ სასწავლებლის  
 გამოცვლამ საქმეს ვერა უშველა რა.“ ვანო აქაც  
 ცუდათ სწავლობდა, ცუდი ყოფაქცევის ბავშათ ით-  
 ვლებოდა და სამოსწავლო წლის ბოლოში ვანოს  
 ცუდი ნიშნები მისცეს. ამისათვის ვანომ მასწავლე-  
 ბელს შეურაცხყოფ მიაყენა და დაემუქრა, რისგამოც  
 18 წლ. ვანო სასწავლებლიდან დაითხოვეს. სამ  
 წელს შემდეგ ვანო ბათოში წავიდა, თითქო სამსა-  
 ხურის საშოვნელათ, მხოლოდ მალე დედის სიკე-  
 დილის ამბავმა ის სახლში დააბრუნა. „ვანო მაშინ  
 თხოვნილ სახლში დარჩა და ვითომ ოჯახობას ხელი


მიჰყო, მაგრამ უფრო დასაძინებლათ თუ მოდიოდა შინ: დანარჩენ დროს კი მეზობლებში ატარებდა.“ ერთხელ ის მიპატიჟებული იყო გლეხის სამსონ ტარაძისას ნათლობაში, სადაც ნათლიათ გლეხი ტომათე კალაძის შვილი ნიკო იყო მიწვეული.

12 წლის ნიკო მამამ ერთ ვაჭარს მიაბარა ოზურგეთში შემდეგი სიტყვებით: „შენი ლეთის გულისათა აი ბალანაი გამიზარდე, ვაჭრობაში გამოაჩიე და ხუთი ექვსი წელი ტყუილათ იმსახურე; ეგება რამე დროში კაცი შეიქნეს“. ვაჭარმა ბავში მიიბარა. ნიკომ ჩქარა შეისწავლა ვაჭრობის წეს-რიგი. ვაჭრობაში კარგათ გავარჯიშდა, მაგრამ ამასთან ბევრი არა სასიამოვნო თვისებაც დასჩემდა. ამხანაგების წახედვით მან კარგათ შეამჩნია, ვისგან შეიძლებოდა უფარვის საქონელში მეტი ფასის აღება. მან იცოდა, რომ სოფლელი ვერ არის დახელოვნებული ვაჭრობაში და სრულიად უბრალო ნივთსაც მამასისხლათ ასაღებდა. „ხაზინის ძლიერ მოეწონა ნიკოს ერთგულეობა და ორის წლის შემდეგ ჯამაგირი გაუჩინა. ნიკო სულ იმაზე ოცნებობდა, რომ ფულიანი კაცი გამხდარიყო როგორმე; ხუთის წლის შემდეგ ნიკო უკვე ვაჭრობაში დახელოვნებული ახალგაზდა, ბათომში გადავიდა. იქ ერთ მდიდარ ვაჭართან კარგს ჯამაგირში დადგა და შემდეგ მასვე გაუამხანაგდა. დღეს ნიკო 27—28 წლის ახალგაზდა კაცია და თავისი საკუთარი ვაჭრობა აქვს ბათომში. იმას ძალიან უნდოდა ყველასათვის მდიდრათ ეჩვენებინა თავი და ყოველთვის თავმომწონეთ გამოდიოდა, ის უფრო ვეროპიულ ტანსაცმელს ხმარობდა. აი ეს ნიკო იყო ს. ტარაძის ნათლია. სხვა სტუმართა შორის ტარაძისას დიასახლისის დისწულიც იყო, ახალგაზდა, ლამაზი ნინო. ივანეს ეს ქალი უყვარდა და დღეს მოუსვენრათ ადევნებდა თვალს იმას. „ყოველთვის და ყველაფერში გაბედული და შეუპოვარი, ამ ფაშად სულ უღონობას, დამცირებასაც კი გრძნობდა. ვინ იცის, როგორ შეხედავს დღეს ნინო ნიკოს; იგი ხომ მდიდარი კაცია და კიდევ ეცდება მოაწონოს თავი ყველას, ფიქრობდა ვანო. მას ძულდა და ეჯავრებოდა ამ ფაშათ ნიკო. „მე საჩქაროთ ფული უნდა ვიშოვნო და მაშინ ყველაფერს ვიზამო“ გაუელვა მას თავში უეცრათ. ამასობაში ნიკოც მოვიდა.

— „რა ამბავია, კაცო, აშდენ ხანს რომ გვაცითიე! პაწაი ადრე არ გეკადრებოდა მოსვლა, სიდაური დიდი კაცი შენ ხარ? ძალ-დატანებულის ხუმრობის კილოთი უთხრა ივანემ. —შენთან კი ვარ უკაცრავათ, ირონიულათ უპასუხა ნიკომ —უკაცრავათ კი ხარ, ყაზახო, მეტი არაფერი! წარმოსთქვა ივანემ გაბრაზებით, მხოლოთ სხვები ჩაერია და სიჩუმე ჩამოეკარდა. შემდეგ შუა სადილობის დროს ივანე ნი-

კოსთან ღვინით „ალავერდი“ გადავიდა. ვერ დაულოვე, არ მწყურიაო, უპასუხა ნიკომ. ამ პასუხმა პასუხი გამოიწვია და გაბრაზებულმა ივანემ „ღვინით სასებოთლი შიგ თავში მიარტყა. გავიდა ხანი ამ შემთხვევის შემდეგ და გურიაში ავაზაკობა მოხდა; სხვათა შორის იჭვი ივანეზეც მიიტანეს; სოფელში ამბობდნენ ს. ტარაძის „დანოსოთ“, რომელიც ზემო აღწერილი შემთხვევით იყო გამოწვეულიო. მალე ივანემ სატუსალოდან გაქცევა მოახერხა, ფირალათ გავარდა და „საშინელი“ ბრბოს მეთაური გახდა. ამ ხანებში ნიკომ ნინო ცოლათ შეირთო. თუმც ეს ქალის სურვილის წინააღმდეგ მოხდა, მაგრამ მოყიდულმა მამამ ქალს ძალა დაატანა და ჯვარი დაწერა. ცოლქმრობა, როგორც მოსალოდნელი იყო, მეტათ ცუდი ჰქონდათ. შემდეგ ივანე თავს დაესხა ნიკოს და სიცოცხლეს გამოათხოვა; ამის შემდეგ აღარც ფირალს დასცლია ბევრი. ღამე მიმავალ ივანეს ჩასაფრებულმა ჯარის კაცებმა თოფები დაუშინეს და ვაჭაკი ფირალი სამუდამოთ წუთი სოფელს გამოასალმეს.


ამნაირათ „დასრულდა ესე ამბავი, ვითა სიხმარი ღამისა“. მხოლოთ მისი ცხადი შინაარსი, შეუბლაღველი და უმწიკველო ფაქტია, ცხოვრების გულიდან ამოგლეჯილი. ივანე დაეღამე—ეს „ნაშთი ძველის დიდებისა“, კანონიერი შვილი ხანგადასული აზნაური გიორგისა, თანამედროვე ცხოვრების მოძულეებული გერი სრულიად ახალგაზდა ესალმება ამ „ტკბილ-მწარე წუთი-სოფელს“. ნინოშვილის ტარიელი, დ. ერისთვის ნესტორი ამნაირათვე ცუდუბრალოთ, უაზროთ, უშინაარსოთ აბოლოვებენ თავის ხან მოკლე სიცოცხლეს. იბრძვიან მკლავ-ღონიერნი, მხოლოთ ყველგან და ყოველთვის მარცხდებიან. ნუ თუ ეს უბრალო შემთხვევით გამოწვეული დამარცხებანია? განა აქამდისაც ვერ მოიკიდეს ფეხი ცხოვრების სრიალა იატაკზე? ვერა! რადგან ცხოვრება მათ ვერ ჰკუთხს და ისინი ცხოვრებას. იყო დრო, როდესაც მკლავ-ღონიერობა, სიჩაუქე, ხმლის მამარჯვებული ხმარება იცავდა მტრისგან ჩვენ პატარა ქვეყანას. ის დრო იყო მხედრობისა, როდესაც თავად-აზნაურობა სამშობლოს მცველობდა, მტერს იგერებდა და შინ განცხრომითა და ზემით ატარებდა დროს, შრომა მისთვის სავალდებულო არ იყო, რადგან მშრომელი ელემენტი—გლეხობა მისს საკუთრებას შეადგენდა და თავის მცირე, პატრიარქალურ მოთხოვნილებას ყმების ძალ-ღონით იკმაყოფილებდა. სამაგიეროთ იგი ყმებს პატრონობდა, ხმლით დარაჯობდა სამშობლოს კარებს და მთელი მისი წარსული სისხლით არის შეღებილი. „გამოიკვალა ქვე-



ყანა, ჩარხი უკუღმა ტრიალებს<sup>4</sup>, თავად-აზნაურობას თარ-ხმალი დაქანებულნი უკიდია კედელზე, მხოლოთ ხან-და-ხან სავარჯიშოთ თუ ვინმე ისევ ძმაზე გაილაშქრებს, თორემ გარეშე მტრებთან ბრძოლა აღარ ქირდება, იგი სხვის მფარველობა ს ქვეშ იმყოფება. ოთხი მესხი რაშხედაც რომ შეაჯინოთ ის აღარ იქნება, რაც ოდესმე ჯორზე მჯდომი იყო. რალა თქმა უნდა, სამაგიერო, სამადლობელი სამსახურიც დაეკარგათ. ყმები ჩამოეცალენ და ყველა იძულებულია თავის თავს ეყმოს. ხშირათ გუშინდელი ბატონი იმის ყმა ეკონომიურათ, რომელსაც გუშინ თვითონ ბატონობდა. თავად-აზნაურობა, როგორც წოდება, დღევანდელი ცხოვრების ხორც-მეტია. მას მხოლოთ სახელი შერჩენია, უშინაარსო, უაზრო, სახრავი მისი აღარ არის. დღეს ის ხრავს, ვინც უფრო მარჯვეთ. მოხერხებულათ შეწყობა თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნილებას. მაგრამ ძველი დიდების სიამაყე, წარსულის მოგონებით გამაპარტავენებული დღევანდელი „ჩვენი ქვეყნის რაინდები“ ვერ შერიგებიან თავის არაბობას, ვერ უწყობენ ხმას დღევანდელ ჩანგის ქლერას, იგინი უნებურათ უნდა განშორდენ საამდროვეო ნადიმს, მათი სტუმრობა აღარავისთვის სასიამოვნო არ არის. ასეთია ლალიონის გმირიც. ივანე, რომელიც სინაზით და სიფაქიზით აღზდილა, უშრომლათ ქეთუსა და სიამოვნებას ჩვევია. თავისი უფროსობა ტრადიციულათ შეუთვისებია, ვერ ითმენს ნიკოს მედიდურებას, ეჯავრება მისი სიამაყე. ნიკო ტიმოთეი გლეხის შვილია და აბა რა რჯის მას ივანე დავლაძესთან მედიდურებას, თავისუფალ აზროვნებას.

ად. წულებიკი.

(შემდეგი იქნება)



ბ ა ქ ო.  
II.

დღელი წარმოსადგენია, ისეთ უღბურ, უმცენარეულო მხარეში, როგორც ბაქო და მისი მიდამოებია, როგორც ჰეა იქნება. მართალია ზამთარი ზომიერი იცის — სიცივე საშუალო რიცხვით 4 — 5<sup>0</sup>, მარა სამაგიეროთ ზაფხულის თვეებში ივნისსა და ივლისში მეტისმეტა სიცხეებია. ამ დროს ტერმომეტრი 25<sup>0</sup> დე აღის და, რადგან იმერეთისებური წვიმები აქ ჰაერს არ აგრილებს, ამისათვის მოსულები მას ვერ იტანენ და სააკარაკოთ ბორჯომსა, აბასთუმანსა, კოჯორში და, უფრო შეძლებულნი, ვერო-

ბაში მიეშურებიან. 25<sup>0</sup> სიცხეს კიდე შეურიგდებოდა ადამიანი, რომ ბაქოს გარშემო და განსაკუთრებით თერთ ბაქოში მძაფრი „ნორდი“ (ჩრდილოეთის ქარი) არ ქროდეს. როდესაც ეს სახარისებური ქარი ქრის ქუჩაზე მიმავალს იმენათ ძალზე გლალავს, რომ საკმარისია 15—20 წუთის სიარული, რომ მთლათ ღონე მიხდილი ქუჩაშივე დაეცე, ან კიდე კედელს მიებჯინო და ბოლოს თავპარ-ტანისამოსიანათ მთლათ გამტყვერიანებული შინ დაბრუნდე. ამ ქარს ხან და ხან ისეთი მტვერი, სილა და ხრეში მოაქვს ბიბი-ვიბატსა და შამახიდან, რომ ქუჩაში გამაველაც ძნელი გასაბედია. ამ დროს თუ გაკიტაცათ ქარის მიმდინარეობამ ისე გაგაქროლებთ, როგორც ბაშბის ფთილა და თუ თავი ვერ შეიკავეთ და ან არაფერს შეეჩვენეთ, შიგ ზღვაში გადაგისვრით. ბაქოს სპარსული სახელწოდება „ზადკი უსუ“ ნიშნავს ქარის ცემას, ქროდვას და მართლაც რომ სინამდვილით ამართლებს იგი ამ სახელს. ქარით ნაქებია ქუთაისი, მარა ბაქოსთან ის მაინც ვერ მოვა. აქაური ქარი ნამდვილი აფრიკის უდაბნოების სმეჭბი და უჭაჯანაა. აი, ამ ქარის გამო ბაქოში ჩვეულებრივათ სახურავე აწეულ სახლებს ვერ ნახავთ. იქ სახლები სწორე, იატაკისებურ უბნებათ არის ცემენტით და მიწით დახურული, რათა გრივალმა ქარმა სახურავები არ აავლიჯოს. ასე დაუმორჩილებია ბუნებას ბაქოელები. საღამოებით ეს ცხელი ქარი ზღვის ნიავისაგან რომ არ გრილდებოდეს, ბაქოში ცხოვრება გარეშესთვის შეუძლებელი იქნებოდა. ბაქოს ჰაერს, ზოგის აზრით კეთილი ზეგავლენა აქვს ნეკროპოის. ავთიმეოფთათვის, ზოგის აზრით კი, რაც უფრო მართალი უნდა იყოს, — გუჯით ავთიმეოფთათვის.

ბაქოს მცხოვრებლები უკანასკნელი სტატისტიკური ცნობებით 100,000 მეტია. ეროვნებით ბაქო, კავკასიის ქალაქებში, ყველაზე უფრო მრავალფეროვანია. აქ ყოველი ეროვნების და სარწმუნოების წარმომადგენელთ შეხედებით. პირველი ადგილი რიცხვით, როგორც იქაურ ბუნებას შეჩვეულთ, უჭირავთ ტატებს, რომელნიც სპარსეთის კულტურის ზედგავლენით გადაგვარებულან და დღეს ბაქოელ თათრებათ იწოდებიან. მათი რიცხვია 36,530. შემდეგი ადგილი უჭირავთ სხვა და სხვა მახლობელ გუბერნიებიდან გადმოსახლებულ სომხებს — რიცხვით 24,490. მერმე რუსებს 21,340 და მრავალი სხვა აზიელ და ევროპიელთ. ქათვლეები კი ტყეილა უბრალოთ არ შამომწყრალა ამ ბუნება მძაფრ თვისს მეზობელს. იმას აქ რა უნდა!... ბაქო ხომ წარმოგება-ვაჭრობის სამეფოა და ის ხომ ვაჭარი არ არის — მოქვიფა. ის ხომ მოგების მძებნელი არ არის — მონაგების გამფლანგველია. ბაქო კი, როგორც მოგახსენეთ, არაფერა სა-

ქეთო ალაგია. აქ თფილელთა ორთაქალა, ვინდ მუშტაიდი ედემი იქნებოდა, მარა ამ ნეტარებას ბაქოელნი მოკლებულნი არიან და მასასადამე აქ არც ალაგი აქეს თფილისსა და ქუთაისის ბაღებში მოქეიფე ჩენ სოფლის ბრწყინვალე წოდებას. ამ უკანასკნელ ხანებში თითო-ოროლა ჩენინანებიც გადმოუტყორცნია აქ ბედს. მარა ისინი რიცხვით ისე მცირეა და ისეთი მცირე ალაგები უჭირავთ, რომ მათი აქაურ ცხოვრებაზე გავლენა ნაკლებია. არიან თითო-ოროლა ქართველი კაპიტალისტებიც, მარა ისინი აქაურ მსხველ კაპიტალისტთა ფერხულში ისე ჩანან, როგორც ბუზი აქლემთან.

მათრები უმეტეს ნაწილათ ვაჭრები, მჭედლები, მეპურეები, მეწუღეები, მიკიტნები და საზოგადოთ წერილმანი მომუშავე ხალხია. ბაქოში ნათეს წარმოება მრავალ მათგანს მიატოვებინა თავისი უსახსრო სოფელი და გამოაქანა ქალაქში, რომ აქ ლუკმა პურისათვის ბრძოლა გეადვილებინა. მართლაც, ბევრი მათგანი ნათეს ადგილების დაპატრონებით გამდიდრებულა; უმრავლესობა კი შვე მუშაობას ეწევა ზავოდებასა და სახელოსნოებში და ისევე გაჭირვებულათ ცხოვრობს, როგორც ყოველი მისი თანამოძმე მუშა.. ამ ბოლო ხანებში მამაკაცები სწავლა განათლებას ძალიან ეწაფებიან, ასე რომ 15% ყოველთვის არის აქაურ სასწავლებლებში იმათი რიცხვი. ქალები კი აქაც განდევნილობას იჩენენ. ისინი სრულიად არ ეტანებიან სწავლას და თუ თითო-ოროლა არის სასწავლებელში, — ისიც ხანების ან მდიდრების შვილებია. მათი ტრადიციული კარჩაკეტილობა ყოველ ნაბიჯზე ჩანს...

სამხეპი აქ, როგორც თფილისში, მცხოვრებლებს შეძლებულ ნაწილს შეადგენენ. იმათ ეკუთნისთ ქალაქის საუკეთესო ნაწილი, სახლები, საეაჭრო კანტორები, ნათეს ზავოდები და სახელოსნოები ბაქოსა და ბალახანა-ბიბი-ეიბატში, ნათესადგურები, ბიბლიოთეკა-სამკითხველოები, წიგნის მალაზიები, ტიპოგრაფიები და სხ. მათ ხელშია აგრეთვე საუკეთესო საეაჭრო მალაზიები. მარცხნივ ვაიხედავთ „იანცი“ თავდება მალაზიების პატრონთა გვარები, მარჯვნივ ვაიხედავთ „ტერი“ იწყება მათივე გვარები. აქა იქ თუ შეხედებით მალაზიებზე „ოვი“, „ევი“ და „ოლი“ დაბოლოებულ გვარებს. ვაჭრობას გარდა სომხებს ბაქოში შესამჩნევი ადგილი უჭირავთ სწავლა განათლებასა და საზოგადოთ ქალაქის ცხოვრების მართვა-გამგეობაში. იმათ შორის ბევრია საშუალო და უმაღლესი სასწავლებელში ნასწავლი: ტენიკები, ინჟინრები, ექიმები, ვექილები, ბანკირები და სხვა თავისუფალი პროფესიის პირები. ქალაქის მმართველობაში იმათ თითქმის ყოველთვის მეტი გავლენა აქვთ, რასაც ყოველი სომეხი დღის აღტაცებით და მხნობით იგონებს უცხოესთან ლაპარაკში. მათ აქვთ ეგრეთ წოდებული „კაცთ-მოყვარე საზოგადოება“, რომელიც

ბაქოს საზოგადოებური მაჯის ცემის მაჩვენებელია ამ საზოგადოებას აქეს დიდი თანხა, რომელსაც არიგებს საქველმოქმედო საქმეებისათვის; აქეს სკოლა, ერთი უმდიდრესი ბიბლიოთეკა, სადაც ნახავთ ყოველგვარ რუსულ და უცხო ენებზე წიგნებს, ჟურნალ-გაზეთებს, კავკასიის შესახებ აუარებელ მასალას და ყველა გამოჩენილ მოღვაწის და მეცნიერის სურათებს კეთლებზე ჩამწკრივებულს. აქ ნახავთ რუსების გამოჩენილ მწერლებს: ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვს, ტურკენიევს, პისარევს, ტოლსტოის, ნადსონს და სხ. და ევროპიელთ: დარვინს, მარქსს, ლასალს, ნიუტონს და სხ.

მთელ ქალაქში, ერთ ორ ადგილას, სადაც მიკრუნჩხული კუთხეში „დე“, „შვილი“ და მეგრელის „ია“ თი დაბოლოებულ გვარებსაც წააწყდებით. ეტყობათ ქართველებს მარტო თფილისი, ქუთაისი, ფოთი და ბათომი აურჩევიათ ამ სფერაში სამოქმედოთ. ბაქოელ ქართველებს ერთაო ერთი დაწესებულება აქვთ, — ესაა „ბიზნეს-სამკითხველო“, რომელიც სულ ახლახან გაუღიათ. შიგ სამასიოდე ქართული წიგნია, ქართულ-რუსული ჟურნალ-გაზეთებით, რომელთაც, ეტყობა ნაკლებთ ჰყავს მკითხველები, რადგან ძველი და ახალი ჟურნალები სულ დაუჭრელი აწყვია თაროზე. ბიბლიოთეკას, როგორც ვაიფე, გამგეობა ჰყოლია, რომელიც თვისი მოქმედების ანგარიშის მიცემაზე ძალიან უარს არის, რაც ვერაფერა თავდება იმისი, რომ იგი დიდხანს იარსებებს. „ფულები შამოგველიაო, ბიბლიოთეკაში არაიენ დადის, შამოწირულებსაზე ხელი აიღეს, ხარჯს ველარსაიდან ვისტუმრებთ და ამტომ ბიბლიოთეკა უნდა დაიხუროსო“, განაცხადებენ ბოლოს უანგარიშოთ საქმის წამყვანი, რაც ჩვეულებრივი მოვლენაა ჩვენებური საქმიანობისა. მაშ თუ კი ასეთი ჩვეულებრივი ბოლო მოვლის ამ ერთათ ერთ გონება-ზნეობრივ საზრდოს ბაქოელ ქართველებსას, ჯობს აქედანვე სიმკაცრე იხმარონ, თუნდაც უგულოთადეს მეგობრისადმიც და ბოლოს „ეს რა დაგემაართია“-ს ძახილით არ გაათავონ ეს საქმე.

რუსებს ბაქოში მომეტებულათ ადმინისტრაციული სამსახურის ადგილები უჭირავთ, ისინი მხურვალე მონაწილეობას იღებენ აგრეთვე მწერლობაში\*). ნათეს მწარმოებელთა გუნდში მათ ნაკლები ალაგი უჭირავთ. მაგრამ სამაგეროთ ბლომთ არის აქ რუსები სეფასნები: „ბურავიო მასტერები“, სლესრები, ჩილინდრები, მეხანიკები, დურგლები და სხ. ამ ნაწილში მათ ვერაუენ ჯობნისთ და თითქმის ყველა ზავოდებზე ისინი ასრულებენ ამ სა-

\*) ბაქოში ჩრქუბს ერთთ ერთი საზოგადოთი და სალიტერატურო დღიური გაზეთი „კასპი“. იანჯიდან კი „ნათესის მწარმოებელთა გუნდა“ იხენს სპეციალურათ თვისი საქმეებისთვის ორგანს — „ნათესის საქმე“.

ქმეებს. ნაეთის წარმოების საქმე უმთავრესათ უცხო-  
 ელების ხელშია. ისინი აქ ძველიდანვე აწარმოებენ  
 ნაეთს და თან და თან უფრო იღვამენ ფებს, რადგან  
 კაპიტალთან ერთათ მათ ამის შესაფერი ცოდნაც  
 თან ახლავთ. იქ, სადაც ჩვენებური მწარმოებელი  
 კაპეიკობით ხარჯავს წარმოების გასაუმჯობესებლათ,  
 ევროპიელი მილიონებს ჩააბნევს შიგ, რომ ერთი  
 ათათ და ასათ ამოიღოს იქიდან. აი მაგ., შვეციელი  
 ნობელი გინდ როტშილდი და ინგლისელი ვიშაუ.  
 ეს უკანასკნელი სულ ამ 3—4 წლის განმავლობაში  
 გამხდარა 30—40 მილიონის პატრონი. მათ ეკუთ-  
 ვნისთ აუარებელი სამეცნიერო და თუჯის ჩამოსასხმე-  
 ლი ზეოდები. ამ უკანასკნელ ხანებში მთავრობამ,  
 იგრძნო რა მათი გარდამეტებული გაძლიერება, ფი-  
 ქრობს აღუკრძალოს მათ ნაეთის მიწების შექმნა,  
 მარა კაპიტალი მაინც თავის გზას ნახულობს და იგი  
 სხვისი სახელით გროვდება უცხოელების ხელში.  
 ახლახან, როგორც ჩანს უკანასკნელი ცნობებიდან,  
 ნიჟინ-ნოვგოროდში დაარსებულა რუსების კაპიტა-  
 ლისტთა საზოგადოება, რომლის მიზანია შეიძინოს  
 ბაქოში ნაეთიანი ადგილები და თითონ აწარმოვოს  
 საქმე, მარა „ნაეთის მეფეებთან“ ნობელ-როტშილ-  
 დებთან ბრძოლა არც აგრე საადვილოა.

ბაქოსთან ბუნებრივად დაკავშირებულია ზღა-  
 ხანს და ბიბი-ეიბატა. პირველი ახლავს ბაქოს აღმო-  
 სავლეთით 12 ვერსის მანძილზე და შეერთებულია  
 ქალაქთან რკინის გზით. მეორე მდებარეობს დასა-  
 ვლეთით 4 ვერსის სიშორეზე ქალაქიდან. ბალახანას  
 გარშემო სამი სოფელი აკრავს: საბუნჩა, სადაც რკი-  
 ნის გზის სადგურია, წამანა და ზაზრატა. ეს ოთხი  
 სოფელი ისეა ერთი ერთმანეთზე გადაბმული, რომ  
 ერთ დიდ ქალაქს წარმოადგენენ და თვისი აზობო-  
 ქრებული ცხოვრებით და მუდმივი მოძრაობით, ყვე-  
 ლა სამრეწველო ქალაქებში პირველი ალაგი უჭი-  
 რავს კავკასიაში. ღამე, როცა ბაქოს ორ ნაწილს  
 შამახანს და „თეთრ-ქალაქს“ ტკბილათ ძინავს, ბა-  
 ლახანასა, „შავ-ქალაქში“ და ბიბი-ეიბატზე მთელი  
 დღე და ღამე ზეოდების და „კარგეარკების“ გუგუ-  
 ნი და ფშტენა ყურებს გიქექავსთ. იმ დროს,  
 როდესაც ბაქოელი ბურჟუა თავის სალონებში განი-  
 სვენებს ან „ბორჯახე“, ჩაფიქრებულს, ციურება გა-  
 მოჰყავს, — აქ, ამ ნაეთის ტალახში ღონეს ღვეს ბე-  
 ჩაფი მუშა თვისი აღის ჯრბის გასასქელებლათ...  
 ყველა ეს სოფლები შეერთებულია ბაქოსთან აუა-  
 რებელი ერთი ერთმანეთზე ჩამწკრივებული თუჯის  
 მილებით, რომლებსაც მიწის გულიდან ახალი ამო-  
 ლებული ნედლი ნაეთი გადააქვს „შავი-ქალაქის“  
 ზეოდებში გადასამუშავებლათ.

აი ეს ხუთი სოფელი არის ის დაუშრობელი  
 წყარო, საიდანაც ამოდის ის ნაეთიერება, რომელიც  
 ქვეყნიერებას ეფინება და ნაეთის სახელით ბნელს  
 ნათლათ აჩვენებს. ბუნებას აი აქ ამოუხეტია ის  
 სიმდიდრე ურომლისოთ ყოველი ჩვენგანი ვინ იცის

რა გაჭირვებაში არ ვიქნებოდით. აი ამგვარი სიმდი-  
 ღრით დაუჯილდოებია ბუნებას უდაბური ბაქო, რო-  
 მლისკენაც ადამიანს მისი გარეგნობა თუ არ იტა-  
 ცებს კავკასიის სხვა ქალაქებივით, სამაგიეროთ ში-  
 ნაგნობა მაგნიტსავით თავისკენ ეზიდება მას \*).

ბაქო-ბალახანასთან ეკონომიურათ შეკავშირე-  
 ბულია 6 ვერსის მანძილზე მდებარე თათრების სოფ.  
 სუჭასანს, სადაც უპირველესი ნაეთის ზეოდი ჰქონია  
 კოკორევეს და ახლა კი იგი მინგრეულ მოზგრეული  
 მიტოვებულია. ეს სოფელიც შეერთებულია ბალა-  
 ხანასთან რკინის გზით და მითი არის შესანიშნავი,  
 რომ აქ სადაც უნდა ამოთხროთ ერთ არშინზე მი-  
 წა, ყოველგან, გაკრავთ თუ არა, სპიჩკას, მაშინ-  
 ვე გაჩნდება დაგუგუნებული ცეცხლი. რა არის ეს?  
 ჰკითხულობს მნახველი. ეს არის ჰაერის მსგავსი ნივ-  
 თიერება — გაზი, რომელიც მოწმობს იმ ადგილებში  
 ნაეთის არსებობას, რომელის ჰაეროვანი ნაწილები,  
 ამოდის რა მიწიდან, აჩენს ცეცხლს. ეს ბუნებრივი  
 ცეცხლიც აქაურ მკვიდრს თავისდა სასარგებლოთ  
 გამოუყენებია იმით, რომ ამოთხრის თითო არშინიან  
 ორმოებს, ჩაალაგებს შიგ მოთეთრო ქვას, (რომე-  
 ლიც იქვე მახლობლათ ტყდება ლალუმებით), გაუქ-  
 ნევს სპიჩკას, გააჩენს ვეებერთელა კოცონს და ამჩაი-  
 რათ წვაეს კირს, რომლითაც მთელი ბაქო-ბალახა-  
 ნის სახლები შენდება. ასეთი საკრეები ყოველ ნა-  
 ბიჯზეა ამ სოფელში და, როგორც დეკაციონდი, ამ-  
 ნაირი ცეცხლით რჯახებშიაც სარგებლობენ, მაგ.  
 აქ გოგარდის აბანოებია და იქ მყოფთ მინდორზე  
 ამოთხრილ მიწაში ჩაედგათ კასრულები და ხარშავ-  
 დენ საქმელს. თათრის ოჯახებში სანათურათაც ხმა-  
 რობენ ამ ბუნებრივ სიმდიდრეს. ასე რომ თუ ბაო-  
 ჯელ გლვებს ერთი საჭენი კირის შეშით დაწვა 10—  
 15 მანეთამდე უჯდება, გარდა შრომისა, — აქაურ  
 გლეხისგან იგივე აპერაცია ერთ არშინზე მიწის ამო-  
 თხრას, ქვის შამოლაგებას და ერთი ლერი სპიჩკის  
 გაკვრის მეტს არას ითხოვს და ესეც ხომ ბუნების  
 ერთგვარი სიმდიდრის შეღავათია, რასაც გარე-  
 ვანი ბუნებით კეკლუცი იმერეთი ჯერ ჯერობით  
 მაინც მოკლებულია...

სურახანის რკინის გზის სადგურის მახლობლათ  
 არის ცეცხლის თაყვანის მცემლების ძველის ძველი  
 სამლოცველო, რომლის გარშემო გაშენებულია გვი-  
 რაბებივით პატარ პატარა ოთახები (კელიები), რო-  
 მლებზედაც ამართულია პატარ-პატარა ქვის კოშკები,  
 სადაც მუდამ ეკიდება აგრეთ წოდებულ „საუკუნო  
 ცეცხლს“ („вѣчные огни“). აქ შუაგულ ადგილს ამა-

\* ადგილი წამოსადგენია მკითხველისათვის აქაუ-  
 რი დედა-მიწის გულის სიმდიდრე მსტო იმითაც თუ  
 წა დიწს აქ მიწები. სულ უმდაბლესი ფასი აქაური  
 მიწისა არის დესიატინის 5 — 20,000 მან., ბიბი-ეიბატ-  
 ზე კი, სადაც ფანტანები ამოდის, მათი ფასი 60 — 80,000  
 მან. ჯდის.

როგორც დიდი სამსხვერპლო, სადაც, თურმე, ცეცხლისთაყვანის მცემლები ადამიანებს წვაედენ ცეცხლზე. ამ ცეცხლის თაყვანისმცემით ტაძარში ძველიდანვე ინდოელები ცხოვრობდენ. მათი ძველები დღემდე დარჩენილი იყვენ აქ და ზოგნი მოლოდენ კიდევ ამ ცეცხლის თაყვანის საცემლათ, მარა ამ 3-4 თვის წინეთ მთავრობის განკარგულებათ წასულან ინდოეთში, და ახლა ეს ცეცხლის თაყვანისმცემელთა ნაშთი დაცალიერებულია. შევნიერი სანახაია ეს სოფელი ღამ-ღამობით, როცა ყოველი კუთხიდან დაგუგუნებულ ცეცხლის მინდორს ხედავთ.

არძიკ.

### წერილი რედაქციის მიმართ.

ოვერის 223 №-ში მოთავსებულია წერილი ინჟინერ ბ. ქაქაძისა მდ. ამუდარიდან — შესახებ იმ წერილისა, რომელიც იყო დასტაშული „კვალის“ 39 №-ში. თავის თავს ხომ მართლულობს და მართლულობს ბ. ინჟინერი, ამას გარდა, როგორც მკითხველი დანიხანეს, რედაქციასაც არიგებს გიოტეს სიტყვებით და ბოლოს კორრესპონდენტსაც, პირად ინტერესებს აბრალებს, თორემ, მე ჩემს დედა-ენას ასე როგორ მოვეტყეოდითო. კეთილი და პატიოსანი, ბ. ინჟინერო! ნება მიბოძეთ მოვახსენოთ: პირველათ, თქვენი სიმართლე ამ საგანზე ის განლავეთ, რაც „კვალის“ 39 №-ში დაისტამბა და რასაც დაამტკიცებს სხვა თქვენგან განდენილი მუშები. მეორეთ, რედაქციის დარიგებისთვის „მეტე სინათლე“ გმადლობთ, სწორეთ საჭაროა მეტი სინათლე, რომ ისე არ მოგვეტყენ, როგორც თქვენ მოგვეტყეით. მესამეთ, თქვენს წერალში თქვენვე ამბობთ: ჩემთან არაეინ მოსულა ქართველი მუშა, სამუშაოების სათხოვნელათ, მხოლოთ პირადი ინტერესებიაო. ბ. ინჟინერო! თუ არაეინ მოსულა სამუშაოების სათხოვნელათ, არაეინ გაწყრომიხართ სამუშაოების თხოვნისთვის, არაეინ გაგილანძღვეთ იმ გვართ, როგორც ჩვენ უკვე გექონდა მოხსენებული, პირადობა საიდან წარმოდგა? ამბის არ მცოდნეს და თქვენ არ მცნობს, საიდან შეეძლო წარმოედგინა ის სიტყვები? სხვების რა გითხრათ და მე ჩემ-და თავათ ძლიერ მაკვირვებს: თუ არაეინ მოგსულეართ და არ გიცნობთ, რა მაინცა და მაინც თქვენ მოგახნეთ ამ სიშორეზე, თქვე დალოცვილო! თუ კი ასე გვხერხებოდათ ქართული ლაპარაკი, რატომ მაშინ არ ინებეთ, ბ. ინჟინერო? ამასთანავე მოვაგონებ იმ პირებს, რომლებმაც ერთ შევნიერ დღეს, თქვენგან მოისმინეს ის არა სასიამოვნო აზრი სამუშაოებზე და თანაგრძნობის მაგიერათ — განდენ-

ნილ იქნენ, გამოეტქვით თავიანთი აზრი რომელიმე გაზეთში თქვენი ქცევის შესახებ 1).

გ — ც — ი.

1) სწორეთ იმ კვირაში, როცა „კვალში“ ბ. ქაქაძის შესახებ წერილი დაიბეჭდა, ჩვენ გადმოგვცეს რჩეული წერილი, მიწერილი რაი ქართული მუშისაგან. ერთი წესს თავის დედ-მამას 29 აგვისტოს თარიღით, აი, სხვათა შორის რას ვკითხულობთ ამ წერილში:

„... გავიდა იგნობისთვე, კვირეობით და თითქმის აგვისტოც, რაც უადილეთ ვიყავი და ახათ, მან მომხმარე გაცი გი აჩვიინ შევად; ზევათ ასედავდი დმეტს და რას შევეუბრებდი და დაბა რამ დავისედავდი მიწას და ჩემ ავთმეოფობას. წყლის დამდევი გაცი არ შევად, ისე გაჭინებულე ვიყავი... მეტი ძალა აღარ იყო რა, უნდა ადგილის საძოვრელათ დამწვეთ სიბოლი და მით ლეგმა ზური შემოგნა და მიმშვიდით არ მოშვედარევიყვი. ავდექი და მივმარე აქ ერთი ქართული ინჟინერი არის, რომელსაც ძალიანი დიდი საქმე ახარა, გვრათ ქაქაძე, რეკრეუთელი ... მიკდი თუ არა, როგორც ჩვენ გაცს, დიდი მოწიწებით თაყვანი ვუცდი და ჩემს საგუბრეოთ ქართულათ დავუწვეე ღამარაკი, ასეთ და ასე ჩემი საქმე მეთქი, დიდ გაჭინებებაში ვარ და რამე ადგილი მიმოგნე მეთქი. იმან ნაცვლათ მასუსისა თვისი დაჭკნა დედა მიწასე და დამივირა: „ძაღვის ენით რას ღამარაკობ, თუ რამე საქმე გაქვს ჩემთან მადი და გაცრუათ, რუსულათ ილაშარეკეო“. ძაღვის ენა დაწქვა ჩვენ ქართულ ენას და ასე ილაათ გამოამსტუმრა...“

მეორე წერილი მიწერილია ამხანაგ მუშასთან 20 აგვისტოს თარიღით და სხვათა შორის შიგ ვკითხულობთ... „... ერთი ინჟინერი ქაქაძე არის ამუდარაზე, სიდას აკეთებს და დიდი საქმეები აქვს. მოვიდა მასთან ერთი ჩვენებური ალავის სათხოვრათ. ჯერ ჩვეულებრივ თაკი დაუკრა, დილა-მშვიდობისა პატონოვო, მან მასუსათ მწასტი უთხრა, ნუ ხტო ვამ ნუხნო, სჯაუტე. — მე პატონო ვასხელით, არ გაუთავებია ეს სიტყვა, რომ მწერლათ მიამხსა, მავლეუისტა მასახანი ნე რაზგავარევატ, ვავარეტე ესლი ხტო ხატიტე პრეფლეკტესევი. ამ სიტყვებით შემკრთალი სწყალი ვმასწილი გამოვიდა ვარში და წამოილაშარაკა, რომ მომცე ალავი მაინც არ მიინდა რადგან ასათი გაცი ყოფილხარო. ეს არა ერთი ყოფილა პატ. ქაქაძიდან ქართულები შესახებ.“ ეს წერილები რედაქციისა და მსურველს შეუძლია ნახოს.

როგორც ხედავთ ამ ფაქტს ისეთი დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია იქაურ ქართველ მუშებსე, რომ თითქმის ყველა ისხენიებს თავის წერილში. და ჩვენ სრული უფლება გვქონდა ეს „კვალში“ აღგვებეჭდა. სოლო გვიკვირს, ბ. ქაქაძეს რატომ ასე გაგვიჩვიება რომ ქართული მუშა შეცდომით წესს რუსულს. ჩვენ, რასაკვირველია, ვხსუტვებთ, მიუხედავათ იქ მყოფი ქართველების მოწმობისა, ამ საქმეში ის მართალი ყოფილიყოს.

რედ.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ. - წერილისა.